საერთო გაზეთი

№18 (429) • 10 მაისი, 2017 წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

ევა გოცირიძე: ერთსა და იმავე გადაცემაში დამაბრალეს, თითქოს მე დავწერე ის, რაც არ დამიწერია, ხოლო, რაც ნამდვილად მე დავწერე, ის, თურმე, ბიძინა ივანიშვილმა დამიწერა...

„დიახ, მოსამართლეც ადამიანია და როდესაც მას, როგორც მოსამართლეს, უსაფუძვლოდ შეურაცხყოფენ და ამცირებენ, ზიანი სამმაგია: ზიანი ადგება მას, როგორც პიროვნებას, როგორც მოსამართლეს და მის პროფესიულ რეპუტაციას“...

ქართული მიწების უცხოელებზე გასხვისება ქვეყნის ღალატია!

„მეორედ მოსვლა“ დავითისა, ანუ პატარა კაცი დიდი ამბიციებით

ტესტირების შედეგები, რომლებსაც საქართველოს მოსწავლეები საერთაშორისო კვლევებში აჩვენებენ, სამარცხვინოა!

ემანუელმა გაიმარჯვა – საფრანგეთს ამერიდან 39 წლის პრეზიდენტი და 64 წლის პირველი ლედი ეყოლება

დღესასწაული, რომელიც დასასრულს უახლოვდება

პროფესორი რამაზ გახოკიძე გვაფრთხილებს!

სამზარეულო – რისკის ზონა

- სამზარეულოში ჩადებული ნაღმები
- მიკროტალღური ღუმელი – საბრძოლო იარაღი სამზარეულოში
- სამზარეულო – რადიაციის კერა
- სამზარეულო – მიკრობების ბუდე

საგანგაშო ინფორმაციები, რომელიც ყველა დიასახლისმა უნდა იცოდეს!

ევა გოცირიძე:

ერთსა და იმავე გადაცემაში დამაბრალეს, თითქოს მე დავწერე ის, რაც არ დამიწერია, ხოლო, რაც ნამდვილად მე დავწერე, ის, თურმე, ბიძინა ივანიშვილმა დამიწერა

გვესაუბრება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი, ქალბატონი ევა გოცირიძე

— ქალბატონო ევა, რა წინაპირობები უძღოდა წინ თქვენს ცნობილ განცხადებას მოსამართლეთა შეურაცხყოფის აღსაკვეთად ახალი რეგულაციების შემოღების შესახებ. რატომ გადაწყვიტეთ ეს ინიციატივა გაგეჟღერებინათ?

— პრაქტიკულად, ჩვენი ინიციატივა მხოლოდ საჯარო დისკუსიის შეთავაზება იყო საქართველოს ჟურნალისტთა კორპუსისა და მთელი საზოგადოებისათვის უმნიშვნელოვანეს საკითხზე - რამდენად სწორად არის ჩვენში გააზრებული გამოხატვის თავისუფლების შინაარსი, სასამართლოსა და ინდივიდუალური მოსამართლეების მიმართ „დასაშვები კრიტიკის“ ფარგლები და რით გამოიხატება გამოხატვის თავისუფლებისაგან „განუყოფელი მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის“ დარღვევა სასამართლოს კრიტიკასთან მიმართებაში. ამ ინიციატივას წინ უძღოდა მედიის, მხედველობაში მაქვს, უწინარესად, ტელეკომპანია „რუსთავი-2“, ზოგიერთი წარმომადგენლის მხრიდან მიზანმიმართული შეტევა სასამართლო ხელისუფლებაზე, რასაც თან ახლდა უამრავი შეურაცხმყოფელი, დამაცირებელი გამონათქვამების გამოყენება სასამართლოსა და კონკრეტული მოსამართლეების მიმართ, რამაც დიდი ზიანი მიაყენა მათ რეპუტაციასა და ზოგადად, სასამართლოსადმი ნდობას. აღნიშნული გამონათქვამები ჩვენ წარვადგინეთ საილუსტრაციო მასალად, რათა ჟურნალისტთა კორპუსს ემსჯელა, არღვევდნენ თუ არა მათი ავტორები პროფესიული ეთიკის ნორმებს. საკუთრივ საჯარო დისკუსიის მიზანს კი იმაში ვხედავდით, რომ ერთობლივად შეგვეფასებინა ამგვარ დარღვევებზე რეაგირების არსებული საშუალებების ადეკვატურობა. სამწუხაროდ, ტელემედიამ დამახინჯებულად გააშუქა ჩვენი ინიციატივა და ბრალი დაგვდო იმაში, თითქოს ჩვენ სასამართლოს კრიტიკის სრულ აკრძალვას მოვითხოვდით. სინამდვილეში, ჩვენ მათ მხოლოდ იმისკენ მოვუწოდებთ, რომ სასამართლოს კრიტიკა ლანძღვა-გინებისა და ცილისწამებისაგან გამიჯნონ, ხოლო თოქ-შოუები სასამართლო პროცესებად არ გადააქციონ, როგორც ამას სტრასბურგის სასამართლო მოითხოვს. კიდევ ერთხელ სინანულით მინდა აღვნიშნო, რომ ტელემედიის დიდმა ნაწილმა არც კი ინება ამ თემაზე დაფიქრება. ერთი წუთითაც არავინ დაფიქრებულა იმაზე, ეს ხალხი იქნებ მართალს გვეუბნება და იქნებ მართლაც რაღაც გვეშლებაო. როგორც ჩანს, მათთვის უცხოა თვითკრიტიკულობა; ეს კარგად გამოვლინდა გადაცემა „რეაქციაში“, სადაც სტუმრად ვიყავი მიწვეული. როგორც ჩანს, ზოგიერთ ჟურნალისტს მიაჩნია, რომ უმაღლეს მედია-სტანდარტებს მიაღწია და შეუძლებელია რაიმე ეშლებოდეს; ამიტომ კრიტიკის მიღმაა — ეგღა აკლია, ვინმემ რაიმე ასწავლოს... საბოლოო ჯამში, ასეთ სურათს ვიღებთ: გამოდის, რომ ჟურნალისტებს ყველას კრიტიკის უფლება აქვთ, მათი კრიტიკის უფლება კი - არავის. ახლა, როგორც აღმოჩნდა, კრიტიკის უფლებაში, ზოგიერთ ჟურნალისტს შეურაცხყოფის უფლებაც დაგულვებული აქვთ. მე რასაც მინდა ვიტყვი, შენ კი თუ არ მოგწონს, წადი და სასამართლოში მიჩივლეო. ესაა ზოგიერთის ლოგიკა და ქცევის სტანდარტი. აი, შენ თუ მაინც შეჰბედე და უთხარი — ძვირფასო და პატივცემულო ჟურნალისტო, გთხოვ, ისე გამაკრიტიკე, რომ შეურაცხყოფა არ მომაყენო და ნურც სასამართლოს როლის უზურპაციას მოახდენო, ვინ იცის, რას არ დაგაბრალებენ, ან რას არ გაკადრებენ - ცენზურას გვიწესებენო, რა თქვენი საქმეაო, თქვენ ვინ გეკითხებათო და ა.შ.

— ხომ არ ფიქრობთ, რომ არა მხოლოდ მოსამართლეები და სასამართლო ინსტიტუტები არიან ამოღებული სამიზნედ, არამედ სხვა სახელმწიფო სტრუქტურებიც. ის, რაც ხდება მოსამართლეთა მიმართ, არის სახელმწიფო ინსტიტუტების წინააღმდეგ მიმართული გლობალური შეტევის ნაწილი? აქედან გამომდინარე, არის თუ არა შესაძლებელი ამ პრობლემას განცალკევებულად ეშველოს?

— მართალი ბრძანდებით. მე ვიტყოდი, რომ, ნაწილობრივ, ეს არის მმართველი პოლიტიკური ძალის წინააღმდეგ ბრძოლის ნაწილი. სასამართლოს დისკრედიტაცია ახლა ყველას აძლევს ხელს, ვინც კი მათ უპირისპირდება. სწორედ ამიტომ შუქდება სასამართლო მხოლოდ ნეგატიურ ასპექტში. პრობლემები როგორ არ არის სასამართლოში, ცხადია, არის, და ისიც მართალია, რომ უფრო მნიშვნელოვანი სწორედ პრობლემებზე საუბარია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ საერთოდ არ უნდა გაშუქდეს ის დადებითი ძვრები თუ ტენდენციები, რომლებიც ნამდვილად არის სასამართლოში. მარტო ის რად ღირს, რომ განუზომლად გაზრდილია გამამართლებელი განაჩენების რაოდენობა, ხოლო წინასწარი პატიმრობის შემთხვევები 30%-მდეა დაყვანილი. დღეს გირაო აღკვეთის ღონისძიების ძირითადი სახეა ისეთ საქმეებში, სადაც მანამდე მხოლოდ პატიმრობა გამოიყენებოდა. ხომ შეიძლება ამის თაობაზეც ვაუწყოთ საზოგადოებას? ხალხს უნდა მიეწოდოს, როგორც ნეგატიური, ისე პოზიტიური ინფორმაცია სახელმწიფო ინსტიტუტების საქმიანობაზე. ხალხს აქვს უფლება სრული სურათი იქონიოს. თუ მხოლოდ ნეგატივის გაშუქება ხდება, ეს უკვე ამ სურათის დამახინჯებაა და საზოგადოების შეცდომაში შეყვანა, რაც, თავის მხრივ, ამ ინსტიტუტებისადმი გაუცხოებასა და ნდობის დაკარგვას იწვევს. კიდევ უფრო დამაფიქრებელი ხდება ყოველივე მაშინ, როცა ეს სკანდალებზე ორიენტირებულობის გამო კი არა, მიზანმიმართულად ხდება და პოლიტიკურ მიზნებს ემსახურება. მეორე მხრივ, ეს ცალმხრივობა დაბალი სამართლებრივი კულტურის ბრალიც არის. ინფორმაციის სიზუსტე, კეთილსინდისიერება, პროფესიული ეთიკის ნორმების ცოდნა და, რაც მთავარია, მათი განუხრელი შესრულება უმნიშვნელოვანესია იმისათვის, რომ მედიამ მასზე დაკისრებული როლი შეასრულოს. სკანდალებზე და სანახაობაზე ორიენტირებული მედია ამ როლს ვერ იკისრებს.

მე სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენელი ვარ და ცხადია, უწინარესად, სასამართლოს წინაშე არსებული პრობლემები მაღელვებს, ამ თვალსაზრისით, მე მხოლოდ უფლება კი არა, ვალდებულებაც კი მქონდა, სააშკარაოზე გამომეტანა ეს საკითხი. თუმცა, დარწმუნებული ვარ, რომ იგივე ხდება სხვა სახელმწიფო ინსტიტუციების მიმართ. იმედი მაქვს, რომ ბიძგი მივეცით ამ საკითხის უფრო ფართო ხედვასა და გაშუქებას.

— ის, რაც ხდება, ხომ არ არის იმ ხარვეზის ბრალი, რაც დარჩენილია კანონმდებლობაში?

დავუშვათ, ერთმა პირმა ან მედიასაშუალებამ ვინმეს შეურაცხყოფა მიაყენა, უწოდა მას ქურდი, ავაზაკი, ან... სამლარიანი მეძავი. როგორ უნდა დაიცვას თავი შეურაცხყოფილმა? მან უნდა ამტკიცოს, რომ ის ზნეობრივი ადამიანია, ანუ უნდა ამტკიცოს ეს დაზარალებულმა და არა იმან, ვინაც დააბრალა, დააზარალა პირი?!

— საქმეც ეს არის. დიახ, გადაცემა „რეაქციაში“ **ინგა გრიგოლია** რომ მიკიჟინებდა, წადით და სასამართლოში გვიჩივლეთო.. კი, წავალთ, მაგრამ რა დაგვხვდება იქ? სიტყვისა და გამოხატვის შესახებ ქართული კანონი შეუდარებლად დიდ უპირატესობას ანიჭებს გამოხატვის თავისუფლებას ადამიანის ღირსებასა და რეპუტაციასთან მიმართებაში. დიფამაციის საქმეებზე სასამართლოში მტკიცების ტვირთი ეკისრება მოსარჩელეს, ანუ იმ პირს, ვის წინააღმდეგაც სავარაუდო ცილისწამება გავრცელდა. ეს კი იმას ნიშნავს,

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (udc) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

რომ სწორედ მან, ცილისწამების მსხვერპლმა უნდა ამტკიცოს, რომ მის წინააღმდეგ გავრცელებული განცხადებები სინამდვილეს არ შეესაბამება. თანაც მან ეს უტყუარად უნდა დაამტკიცოს. წინააღმდეგ შემთხვევაში ის სარჩელს ვერ მოიგებს. შესაბამისად, წარმოიშობა სამართლებრივი პრეზუმფცია, რომ მის წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდება ნამდვილია, სანამ თავად არ დაამტკიცებს, თანაც უტყუარად, რომ ისინი მცდარია. მარტივად რომ ვთქვათ, მან უნდა დაამტკიცოს, რომ არ არის ქურდი, ავაზაკი ან მეძავი, და სანამ არ დაამტკიცებს, ძალაშია პრეზუმფცია, რომ ის სწორედ რომ ქურდი, ავაზაკი ან სამლარიანი მეძავია. ამასწინათ გადაცემა „არჩევანში“ **ნინო ჯანგირაშვილმა** დამაბრალა, თითქოს მე დავუწერე **შრთმელიძეს** გადაწყვეტილება, ხოლო მეორე სტუმარი **ზაზა ბიბილაშვილი** კი საზოგადოებას არწმუნებდა, რომ განცხადება, რომელიც ჩემი სახელით გამოქვეყნდა, თითქოს მე კი არ დავწერე, არამედ **ბიძინა ივანიშვილმა** დამიწერა. ნახეთ: ერთსა და იმავე გადაცემაში დამაბრალეს, რომ ის, რაც ნამდვილად არ დამიწერია, თითქოს მე დავწერე, ხოლო რაც ნამდვილად დავწერე, ის მე არ დამიწერია. გამოდის, რომ მე სხვებს ვუწერ, სხვები კი მე მიწერენ. და, რას

მთავაზობს **ინგა გრიგოლია** — ამ კანონის მიხედვით ვამტკიცო მე, რომ, რაც დავწერე, ის ნამდვილად მე დავწერე, ხოლო რაც არ დავწერე, ის არ დამიწერია? ესაა სამართლიანი და ნორმალური პროცედურა? ამგვარად, ჩვენში ადამიანის სახელი, ღირსება და რეპუტაცია, სამართლებრივად, ძალზე ცუდად არის დაცული. სხვათა შორის, მტკიცების ტვირთის ასეთი განაწილება ეწინააღმდგება საერთო ევროპულ მიდგომებს, სადაც ეს ტვირთი მოპასუხეს, ანუ სავარაუდო ცილისწამების გამავრცელებელს ეკისრება. მან უნდა დაამტკიცოს, რომ რაც თქვა, სინამდვილეს შეესაბამება, რათა საქმე მის სასარგებლოდ გადაწყდეს. ჩემი აზრით, ადამიანის პატივისა და ღირსებისადმი ისეთი დამოკიდებულება, როგორსაც სიტყვის თავისუფლების შესახებ ქართული კანონი ამკვიდრებს, არ შეესაბამება არც საქართველოს კონსტიტუციას, რომელიც ადამიანის პატივსა და ღირსებას „ხელშეუვალ“ უფლებად აცხადებს. ამ მიზეზთა გამო, აუცილებლად მიმაჩნია, რომ მტკიცების ტვირთი ცილისწამების საქმეებში მოსარჩელიდან მოპასუხეზე გადანაცვლდეს. ძალიან კარგი იქნება, თუ თქვენი გაზეთი ამ იდეას მხარს დაუჭერს.

— ჩვენი გაზეთი ამ საკითხზე დიდი ხანია წერს და სიამოვნებით გავაგრძელებთ კვლავ დისკუსიას.

ქალბატონო ევა, თქვენი ოპონენტები მუდმივად აპელირებენ იმაზე, რომ მოსამართლეთა შეურაცხყოფაზე რეაგირება, ეს იქნება სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა. არადა, მოსამართლეც ხომ ადამიანია? მას, შეიძლება, ამდენი შეურაცხყოფისგან, ჯანმრთლეობის პრობლემებიც კი შეექმნას. ხომ არ ფიქრობთ, რომ სიტყვის თავისუფლებას გარკვეული ძალები ოპონენტებზე შურისძიების საშუალებად იყენებენ?

— დიახ, მოსამართლეც ადამიანია, და როდესაც მას, როგორც მოსამართლეს უსაფუძვლოდ შეურაცხყოფენ და ამცირებენ, ზიანი სამმაგია: ზიანი ადგება მას, როგორც პიროვნებას, როგორც მოსამართლეს და მის პროფესიულ რეპუტაციას, და ამასთან, მთელ სასამართლოს, რადგან ინდივიდუალური მოსამართლის რეპუტაციის შელახვით ილახება სასამართლოს რეპუტაცია და ავტორიტეტი. სწორედ ამიტომ მიუთითებს სტრასბურგის სასამართლო, რომ სასამართლოს კრიტიკა არ უნდა გადაიზარდოს მოსამართლის წინააღმდეგ პერსონალურ თავდასხმებში. მე კარგად მესმის, რომ წინა წლებში მრავალი საფუძვლიანი სამდურავი არსებობდა ჩვენი სასამართლო სისტემის მიმართ. მე თავად ვიყავი მისი კრიტიკოსი, მაგრამ არასდროს მიმიცია ჩემი თავისათვის უფლება, კონკრეტული მოსამართლეები მელანძღა.

მოსამართლეს, მასზე დაკისრებული „თავშეკავებულობის“ ვალდებულებიდან გამომდინარე, კრიტიკაზე პასუხის გაცემის უფლება არ აქვს.

ორიოდე დღის წინ **ნიკა გვარამიამ** საბჭოს განცხადების გამოქვეყნების შემდეგ კიდევ ერთხელ განაცხადა „ვაჟკაცურად“ - „ჩვენი მოსამართლეების აბსოლუტური უმრავლესობა კუზიანია“ და ეს კუზი თავწახრილობისა და სხვისი დავალებების შესრულებისაგან ამოუვიდათო. ხომ არ ვურჩიოთ ბატონ გვარამიას, მოისინჯოს, თავადაც ხომ არ ამოუვიდა კუზი **საკაკაშვილის** შეკვეთების შესრულებისაგან?

„დამოუკიდებელი“ ტელეკომპანიის „დამოუკიდებელი“ დირექტორი, რომელიც ახლა თავის საპროკურორო გამოცდილებას შესანიშნავად იყენებს მოსამართლეების ცილისწამებისა და დისკრედიტაციისთვის. მოსამართლეების ლანძღვა, მათდამი სიძულვილის გაღვივება და საზოგადოების მტრებად მათი წარმოსახვა, რისკენაც ბატონი გვარამიას მცდელობანი არის მიმართული სხვისი დავალებით, ან უამისოდ, მხოლოდ მოსამართლეთა ინდივიდუალური რეპუტაციის საკითხი არ არის. ეს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხია - როგორი სასამართლოა ქვეყანაში - ავტორიტეტული, პრესტიჟული, პატივდებული, ხალხის ნდობით აღჭურვილი თუ ისეთი, სადაც უვიცი მონები, მონსტრები, მანქურთები, კრიმინალები, მაფიოზები, შაჰიდები და კუზიანები აზორციელებენ მართლმსაჯულებას. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ბევრია იმის მოსურნე, რომ სასამართლო „დაბალ ღობედ“ დარჩეს, რათა ადვილად გადათელოს ის, როცა მოესურვება.

— დღეს სასამართლო სტურქტურების წარმომადგენელებს ლანძღავენ ის ადამიანები, რომლებიც სდუმდნენ მთელი 9 წლის განმავლობაში, მაშინ, როცა სასამართლოში შეტანილი საქმეების 97% გამამტყუნებელი განაჩენებით მთავრდებოდა.

— შეცდომები, ალბათ, დღესაც არის, მაგრამ სასამართლო სისტემა ნამდვილად დგას გაჯანსაღების გზაზე. მოსამართლეებში მძლავრად ყალიბდება შინაგანი დამოუკიდებლობის განცდა; იცვლება რეპრესიული სისხლის სამართლის კანონმდებლობა, რომელიც მოსამართლეებს სამართლიანი გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას უზღუდავდა. მოსამართლეებმა აქტიურად დაიწყეს სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტებით დადგენილი მიდგომებისა და სტანდარტების გამოყენება; ამის კვალობაზე გაიზარდა გადაწყვეტილებათა დასაბუთებულობის ხარიხი. ამოქმედდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი. ინერგება სასამართლო მედიაცია, რომელიც ხალხს შეაძლებლობას მისცემს სასამართლო განხილვის გარეშე სწრაფად გადაწყვიტონ დავა. ასეთ ფონზე, მართლაც უმსგავსობაა ის, რომ დღევანდელ სასამართლოს ისინი აკრიტიკებენ და ადამიანის უფლებებზე ისინი საუბრობენ, ვინც თავის დროზე სასამართლოს დამორჩილებას ცდილობდნენ, გამწარებული ხალხის მშვიდობიან დემონსტრაციებს სასტიკად არბევდენენ და ამ „საგმირო საქმეების“ გამო თანამდებობაზე ან სხვაგვარად — წინაურდებოდნენ.

— საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ სტრასბურგში ქართველ მოსამართლეთა როტაცია მოხდა. ნაციონალები ამბობენ, რომ კადრები არ იყვნენ კვალიფიცირებულები და ამიტომაც ჩავარდა მათი კანდიდატურები. რას გვეტყვით ამაზე?

— გადაწყვეტილება სიის ჩაგდების თაობაზე მიიღეს არა სტრასბურგის სასამართლოს მოსამართლეებმა, ანუ ადამიანის უფლებათა ევროპული სამართლის სპეციალისტებმა, არამედ პოლიტიკოსებმა, იმ კომიტეტის წევრებმა, რომელიც სხვადასხვა ქვეყნის საპარლამენტო დელეგაციების წევრებიდან ყალიბდება.

კანდიდატთა სიის ჩავარდნაც და „რუსთავი 2“-ის საქმეზე უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერებაც ერთი და იმავე ძალების მიერ, და ერთი და იგივე მეთოდებით, დეზინფორმაციული შტურმის გამოყენებით მოხდა. მიზანიც ერთია - წარსულ დანაშაულთა „გაპრავება“ და სხვა პოლიტიკური თუ ფინასური ინტერესების დაცვა.

— ჩვენი აზრით, უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების შეჩერება ჩვენი სასამართლო სისტემის, მეტიც მთელი სახელმწიფოს შეურაცხყოფაა. თქვენ რას ფიქრობთ ამ საკითხზე?

— ამას წინათ მე უკვე გამოვთქვი ამ საკითხზე ჩემი მოსაზრება. ვთქვი, რომ სამოქალაქო დავაზე ქვეყნის უმაღლესი სასამართლო ინსტანციის საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერება ეროვნული სუვერენიტეტის დარღვევის ზღვარზეა. აქამდე, აღსრულების შეჩერების შემთხვევები უკავშირდებოდა მხოლოდ სისხლის სამართლისა და პატიმრის ექსტრადიციის საკითხებს, სადაც, ჩვეულებრივ, ადამიანი და სახელმწიფო უპირისპირდება ერთმანეთს. ასეთ საქმეებში საერთაშორისო სასამართლოს ჩარევა შეიძლება მართლაც გადაუდებელი იყოს, რათა არ იქნეს დაშვებული სახელმწიფოს ძალმომრეობა ადამიანზე. მაგრამ იგივეს გაკეთება კერძო სუბიექტებს შორის არსებულ დავაზე, ფაქტობრივად, ორი თანასწორუფლებიანი სუბიექტიდან ერთ-ერთისათვის გაუმართლებელი უპირატესობის მინიჭებას წარმოადგენს, რაც ყოვლად გაუმართლებელია.

გახსოვთ, ალბათ, ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის **ზაზა ხატიაშვილის** განცხადება. მან თქვა: მე დავდიოდი სტრასბურგში და ვეუბნებოდი ყველას: არ აირჩიოთ არც ევა გოცირიძე, არც „ქართული ოცნების“ მიერ წარმოდგენილი სხვა კანდიდატიო.

დადიოდა ეს ბატონი და წინ და უკან დაჰქონდა ჩემი სურათები. ძალიან ამაყობს ამით... ეტყობა, სიცოცხლის ბოლომდე იტრაბახებს ამ საგმირო საქმით. მე ჯერ არ მინახავს არც ერთი სხვა ადამიანი, ასეთ სიამოვნებას რომ ჰგვრიდეს სხვისი ლანძღვა- ცილისწამება. მე რომ მლანძღავს, პირდაპირ ცქმუტავს ხოლმე ბედნიერებისაგან, თვალები კი თვითკმაყოფილებისაგან უბრწყინავს...ზუსტად ისე, როგორც ვინმე კარგად „დაქიჩმაჩებულ“ ქვეშევრდომს, ბატონს რომ აბარებს ანგარიშს დავალების გადაჭარბებით შესრულების თაობაზე — შექებისა და დასაჩუქრების მოლოდინში.... არ ღირს ამ ადამიანზე სერიოზულად საუბარი...

— ქალბატონო ევა, თქვენი აზრით, „რეაქციაში“ თქვენი სატელევიზიო ეთერი წარმატებული იყო? შეძელით საზოგადოებისთვის გეთქვათ ის, რის სათქმელადაც მიხვედით ტელესტუდიაში?

— რაც შეეხება გადაცემას გრიგოლიასთან: ვფიქრობ, ამ დებატებში ყველამ დაინახა, ვის მხარეს იყო უფრო მეტი სიმართლე, უფრო მეტი კეთილსინდისიერება და საკითხის არსით ნამდვილი დაინტერესება. სავარაუდოდ, სწორედ ამიტომაც ჩამოხსნეს გადაცემის ამსახველი ვიდეო „ფეისბუკიდან“. ხოლო მოგვიანებით კი მხოლოდ იმიტომ აღადგინეს, რომ შთაბეჭდილება დარჩა, ამით გადაცემის ავტორმა განსხვავებული, მისთვის არასასურველი ინფორმაციის საზოგადოებისათვის მიწოდება დააბრკოლა. სინამდვილეში, აი, ეს არის ცენზურა და არა საბჭოს მოწოდება ჟურნალისტებისადმი, სასამართლოსა და კონკრეტულ საქმეების თაობაზე რეპორტაჟების მომზადებისას დაეცვათ კანონი, პროფესიული ეთიკის სტანდარტები და მორალის მოთხოვნები. არა მარტო სამწუხარო, არამედ შემაშფოთებელიც არის, რომ ჩვენს ამ სრულიად ლეგიტიმურ მოთხოვნას ტელემედიის ნაწილი ასე აგრესიულად შეხვდა.

— დიდი მადლობა საინტერესო საუბრისთვის. წარმატებებს გისურვებთ.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

ემანუელმა გაიმარჯვა - საფრანგეთის ამბერიდან 39 წლის პრეზიდენტი და 64 წლის პირველი ლედი ეყოლება

საფრანგეთის მოსახლეობამ არჩევანი გააკეთა და ქვეყანას ახალი, მერვე პრეზიდენტი ჰყავს — 39 წლის ემანუელ მაკრონი. 7 მაისს ჩატარებული არჩევნებით დროებით დასრულდა მეხუთე რესპუბლიკაში ბინძური კომპრომატების ომი. ევროპელი სოციოლოგები და პოლიტიკოსები ერთხმად აღნიშნავენ, რომ მსგავსი ბინძური საარჩევნო კამპანია და ასეთი დაძაბული არჩევნები საფრანგეთის ისტორიას არ ახსოვსო.

სოციოლოგების განცხადებით, ამომრჩეველთა არნახულად მცირე რაოდენობა მივიდა საარჩევნო უბნებში, რაც საფრანგეთის საპრეზიდენტო არჩევნებში იშვიათი მოვლენაა. როგორც ამბობენ, ამომრჩეველთა 30 პროცენტზე მეტმა უგულებელყო არჩევნები.

არჩევნებამდე ორი დღით ადრე ჰაკერებმა ჯერ კიდევ პრეზიდენტობის კანდიდატ ემანუელ მაკრონის საარჩევნო შტაბის კომპიუტერიდან ათასზე მეტი წერილი და ფოტომასალები მოიპარეს. მოქმედმა პრეზიდენტმა ფრანსუა ოლანდმა განაცხადა — ამ საქციელს არავის ვაპატიებთო. თუმცა, რას მოასწრებს დარჩენილ ერთ კვირაში, ძნელი სათქმელია.

არჩევნებმა მნიშვნელოვანი ექსცესების გარეშე ჩაიარა, თუ არ ჩავთვლით ფემინისტების შიშველ აქციას, რომელიც იმ უბანთან გამართეს, სადაც მარინ ლე პენი უნდა მისულიყო. პოლიციამ აქცია მალევე აღკვეთა.

წინასწარი მონაცემებით, ემანუელ მაკრონმა ხმების 66 პროცენტზე მეტი მიიღო, ხოლო მარინ ლე პენმა — 34 პროცენტამდე. სიციოლოგების განცხადებით, შედეგი მოსალოდნელი იყო. ჯერ კიდევ პირველი ტურის დამთავრებიდან უკვე რამდენიმე დღეში ევროპელი პოლიტიკოსები ეგზიტპოლებზე დაყრდნობით აცხადებდნენ, რომ აუცილებლად მაკრონი გაიმარჯვებდა. მიღებული ხმების რაოდენობასაც ასახელებდნენ 60-65 პროცენტს შორის. ასეც მოხდა. ძნელია თქმა, შემთხვევითი დამთხვევაა თუ წინასწარი განზრახვა. ემანუელ მაკრონს ევროპელი მაღალჩინოსნების გარდა, აშშ-ის ექსპრეზიდენტიც ღიად უჭერდა მხარს.

მარინ ლე პენი, პოლიტოლოგების განცხადებით, არ დამარცხებულა, რადგან მიღებული ხმების რაოდენობა საშუალებას აძლევს, ქვეყანაში იყოს მთავარი და ძლიერი ოპოზიციური ძალა. თავად მარინ ლე პენის განცხადებით, მოხდება პოლიტიკურ ძალთა გადანაწილება, თუმცა, რას გულისხმობდა კონკრეტულად, არ უთქვამს.

საფრანგეთის პოლიტიკურ ისტორიაში, ფაქტობრივად, ახალი ერა იწყება, რომელიც 39 წლის ემანუილ მაკრონმა უნდა განახორციელოს. მან 2004 წელს დაამთავრა ქვეყნის ერთ-ერთი პრესტიჟული კოლეჯი. 2007-ში იქორწინა თავის მასწავლებელზე ბრიჯიტზე. ფრანსუა ოლანდმა თავისი პრეზიდენტობისას მაკრონი ეკონომიკის მინისტრად დანიშნა. თუმცა, განხორციელებული გლობალური ეკონომიკური პოლიტიკის გამო, საფრანგეთის მოსახლეობის მწვავე კრიტიკა დაიმსახურა და თანამდებობაც

დატოვა. 2016 წელს ჩამოაყალიბა მოძრაობა „წინ“. საინტერესოა, ახალგაზრდა კაცმა, რომელსაც პოლიტიკური მოღვაწეობის სამი წლის „სტაჟი“ აქვს, როგორ მოახერხა ერთ წელიწადში გამხდარიყო პრეზიდენტი.

გავრცელებულ ბოროტ ხმებს თუ დავუჯერებთ, ემანუელ მაკრონი ფრანსუა ოლანდის კანდიდატია, რომელიც სხვა ევროპელ კოლეგებთანაც შეათანხმა. მაკრონის კანდიდატურას მხარს ევროკავშირშიც აქტიურად უჭერენ, რადგან ამ ორგანიზაციის მომავალი იმაზე იყო დამოკიდებული, თუ ვინ მოვიდოდა საფრანგეთის ხელისუფლებაში. ყველა კანდიდატს შორის მხოლოდ იგი მიიჩნიეს ადვილად სამართავად. ეს პირდაპირ უთხრა მარინ ლე პენმა ტელედებატებისას. ამიტომაც პოლიტიკურად გავლენიანმა და ფინანსური ბომონდის წევრებმა არჩევანი მაკრონზე შეაჩერეს და ხილულად თუ ფარულად მას უჭერდნენ მხარს.

საფრანგეთი დღეს ბევრი გამოწვევის წინაშეა. ერთ-ერთი მთავარი პრობლემა ქვეყანას მიმწყდარი უამრავი დევნილია. როგორც ამბობენ, პარიზის ისტორიულ უბანში, სენ-დენში, ფაქტობრივად, ფრანგულ საუბარს ვეღარ გაიგონებთო. ეს მაშინ, როდესაც ადგილობრივი მოსახლეობა სამუშაოს საძებნელად სხვა ქვეყნებში მიდის.

უმუშევრობას, ტერორიზმს, ფერმერთა მძიმე ეკონომიკური მდგომარეობაც ემატება. ფრანგული პრესის მონაცემებით, შარშან 600-მა ფერმერმა დაასრულა სიცოცხლე თვითმკვლელობით, სწორედ გაჭირვების გამო.

დიახ, საფრანგეთი ცვლილებებს საჭიროებს და ხალხი სწორედ ვითარების გამოსწორებას ელოდება. თუმცა, როგორ მოახერხებს პოლიტიკაში გამოუცდელი ახალბედა პრეზიდენტი ამას, ძნელი სათქმელია. ემანუელ მაკრონს რაიმე კონკრეტული სამოქმედო გეგმა ჯერჯერობით არ გამოუქვეყნებია. სავარაუდოდ, ან არ გააჩნია, ან ინაუგურაციის დროს, რომელიც 14 მაისს გაიმართება, განაცხადებს. არჩევნების დასრულების შემდეგ მხოლოდ ზოგადი ფრაზებით ისაუბრა. თუმცა, ცვლილებების აუცილებლობას თავადაც აღიარებს.

„ჩემი მიზანია საფრანგეთის გაერთიანება, მე ყველა თქვენგანის პრეზიდენტი ვიქნებიო“, — განაცხადა მაკრონმა. როგორ მოახერხებს ის ფაქტობრივად სამად გახლეჩილი ქვეყნის შეკვრას, მომავალი გვიჩვენებს. კონკრეტულად ერთი თქვა, რომ ბრიჯიტი ელისეის სასახლეში განსაკუთრებული უფლებებით იქნება აღჭურვილიო. ახლა თავად ფრანგებმა იმკითხაონ, ვინ უხელმძღვანელებს მათ ქვეყანას, ემანუელი თუ მისი უკვე დაბრძენებული მეუღლე — მასწავლებელი ბრიჯიტი.

საპრეზიდენტო არჩევნები დასრულდა, მაგრამ წინ, ერთი თვის შემდეგ, ქვეყანაში საპარლამენტო არჩევნებია. პოლიტოლოგების განცხადებით თუ მაკრონს საკანონმდებლო ორგანოში მხარდამჭერთა და თანამოაზრეთა დიდი რაოდენობა არ ეყოლება, ფაქტობრივად, ვერაფერს გააკეთებს და მხოლოდ ცარიელ ადგილად იქცევა, მისი მოვალეობა მხოლოდ ელისეის სასახლის დაცვა იქნებაო. საინტერესო და საგულისხმო განაცხადია. ამჟამად მოძრაობას, რომელსაც მაკრონი ედგა სათავეში, საკანონმდებლო ორგანოში წარმომადგენელი არ ჰყავს.

საპარლამენტო არჩევნები საფრანგეთში 11 და 18 ივნისს გაიმართება. ვისზე გააკეთებს არჩევანს მაკრონი, ვის დაეყრდნობა, ჯერ უცნობია. ისიც ძნელი სათქმელია, როგორ გადანაწილდება ადგილები პარლამენტში. ცხადი ერთია, რომ იქაურ პარტიებს ცხარე ბრძოლა მოუწევთ. თუ გავითვალისწინებთ ახლანდელი არჩევნების შედეგებს, მარინ ლე პენის „ნაციონალური ფრონტი“ ანგარიშგასაწევ ძალად იქცა. ნუ დაგვავიწყდება სხვა მემარჯვენე თუ მემარცხენე პარტიებიც. არც კომპრომატების ბინძური ომის უგულებელყოფა შეიძლება, რომელმაც ბოლო წლებში მყარად მოიკიდა ფეხი მსოფლიო პოლიტიკაში. ვნახოთ, როგორ შეძლებს გახლეჩილი ქვეყნის გაერთიანებას და უამრავი დაგროვილი პრობლემის მოგვარებას ახლადარჩეული პრეზიდენტი ემანუელ მაკრონი, რომლის მხოლოდ ერთი ერთგული თანამებრძოლის ვინაობაა ცნობილი — ესაა ბრიჯიტი.

ფრანგი ხალხის რა გითხრათ, მაგრამ ჯამში მაკრონმა და ევროკავშირმა გაიმარჯვეს. თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ თუ ვერ განახორციელა ძირეული ცვლილებები მაკრონმა, ვერც ოლანდმა და ვერც ევროკავშირის მაღალჩინოსანმა მფარველებმა ვერ უშველონ და ხალხისგან თავის დასაცავად ელისეის სასახლის დატოვება სირბილით მოუხდეს.

გია ბურდული
551 71 27 07

ზურაბ ვახანია:

ტესტირების შედეგები, რომლებსაც საქართველოს მოსწავლეები საერთაშორისო კვლევებში აჩვენებენ, სამარცხვინოა!

ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლის შემდეგ, საერთაშორისო კვლევებში მონაწილეობის პრაქტიკა აღდგა, თუმცა შედეგების გაუმჯობესების მიუხედავად, სასიხარულო არც ახალი კვლევის შედეგები აღმოჩნდა. რამდენიმე დღის წინ გამოქვეყნდა შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ 2015-2016 წლებში მეცხრეკლასელთა შორის მათემატიკასა და ბუნებისმეტყველებაში ჩატარებული კვლევის შედეგები, რომელთა მიხედვით, მოსწავლეთა დიდი ნაწილი ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მოთხოვნების დაძლევას მინიმალურ დონეზეც ვერ ახერხებს. TIMSS-ისა და PISA-ს საერთაშორისო კვლევების რეიტინგებში შედეგის გაუმჯობესების მიუხედავად, საქართველო, მნიშვნელოვნად ჩამორჩება საერთაშორისო ნორმებით დადგენილ საშუალო მაჩვენებელს. მეოთხეკლასელთა შორის მათემატიკაში ჩატარებული TIMSS კვლევაში 49 ქვეყანას შორის საქართველო 37-ე ადგილზეა, მერვეკლასელთა შორის კი- 39 ქვეყანას შორის 26-ზე. მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო შეფასების სისტემის, PISA-ს კვლევაში 15 წლის მოსწავლეთა რეიტინგულ სიაში 70 ქვეყანას შორის საქართველო მე-60 ადგილს იკავებს. როგორც ამბობენ, ციფრები ყველაფერზე მეტყველებს..

საერთაშორისო კვლევის შედეგების გათვალისწინებით, განათლების სისტემაში არსებული მდგომარეობისა შეფასება სააკაშვილის ხელისუფლების დროს რეპრესირებულ ადამიანს ვთხოვეთ, რომელიც „ვარდისფერი რეფორმების“ მიმართ კრიტიკული დამოკიდებულების გამო, ყოფილი ხელისუფლების მიერ სამაგალითოდ დაისაჯა. „საერთო გაზეთს“ პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, ფსიქოლოგიის პროფესორი, ბატონი ზურაბ ვახანია ესაუბრა:

— შედეგები, რომლებსაც საქართველოს მოსწავლეები საერთაშორისო ტესტირებებში აჩვენებენ, სამარცხვინოა. 2007 და 2011 წლებში ჩატარებული კვლევების მიხედვით, განათლების დონით ალჟირის დონეზე ვართ და მნიშვნელოვნად ჩამოვრჩებით სომხეთს, ყაზახეთს, რუსეთსა და ბალტიისპირეთის რესპუბლიკებს.

— თქვენი აზრით, რა შეცდომები იყო დაშვებული რეფორმების ჩატარებისას? რა უნდა გაკეთებულიყო და არ გაკეთდა ან არასწორად გაკეთდა?

— დავიწყოთ იმით, რომ საქართველოში ამჟამად მოქმედი სასკოლო პროგრამები და სტანდარტები როგორც სირთულის, ისე მოცულობის მხრივ, მეტისმეტად გადატვირთულია და მათი ყველა სავალდებულო საგანში დაძლევა არათუ საშუალო, კარგი მონაცემების მქონე მოსწავლესაც უჭირს. სახელმძღვანელოთა უმრავლესობა მძიმე ენითაა დაწერილი და სპეციალური ვიწრო-დარგობრივი ტერმინებითაა სავსე. მათი არათუ სწავლა, წაკითხვაც კი ძალიან მძიმეა.ისიც გაითვალისწინეთ, რომ ქართველ მოსწავლეს, განსხვავებით რუსი თუ ამერიკელი მოსწავლისაგან, ორი სავალდებულო უცხო ენის შესწავლა უწევს. დამატებითი უცხო ენა კი მნიშვნელოვნად ტვირთავს პროგრამებს. მოგეხსენებათ, რომ დამოუკიდებელ საქართველოში სავალდებულო 11-კლასიანი სწავლება 9-კლასიანით შეიცვალა, ამიტომ ბევრ საგანში 11 კლასის პროგრამები, უმნიშვნელო შეკვეცის შემდეგ, 9 კლასში „ჩატენეს“, რის შემდეგაც ვითარება მთლად კატასტროფული გახდა. ჩამოთვლილი მიზეზების გამო, საშუალო და უფროსკლასელ მოსწავლეთა უდიდეს ნაწილს სწავლაზე გული უცრუვდება.

— წარმატებული მოსწავლეებიც ხომ გვყავს, რომლებიც სხვადასხვა საერთაშორისო კონკურსებზე წარმატებებს აღწევენ?

— სამწუხაროდ, ცალკეული მოსწავლეების წარმატებები სურათს ვერ ცვლის, რადგან განათლების სისტემის სახე სწორედ საშუალო მოსწავლეა და არა ნიჭის, ოჯახისა თუ ცალკეული მასწავლებლის წყალობით გამორჩეული მოსწავლე. მოსწავლეთა მცირე ნაწილი, რომელიც მაინც ცდილობს სწავლას, გამუდმებით განიცდის მძიმე ფსიქოლოგიურ სტრესს, რაც ზიანს აყენებს მოზარდის სულიერ, გონებრივ, ფიზიოლოგიურ თუ ფიზიკურ განვითარებას. მთელ თაობებს უყალიბდება ღრმა არასრულფასოვნების გრძნობა, რაც სავალალოა როგორც პიროვნებისათვის, ისე ოჯახისა თუ საზოგადოებისათვის.ზედმეტი საკითხების სიმრავლით გადატვირთული პროგრამების პირობებში არ ისწავლება და ვერ ვითარდება ის, რაც ნამდვილად საჭიროა საშუალო სკოლადამთავრებულისათვის. არარეალურად გადატვირული სასწავლო პროგრამები მოსწავლეებს აიძულებს, ყოველდღიურად, სიყალბეში იცხოვრონ.

— რომელ სიყალბეს გულისხმობთ?

— მთელი სასწავლო პროცესი, არსებითად, ურთიერთმოტყუებისა და საქმის მიფუჩეჩების გარემოში მიმდინარეობს. სწორედ აქაა იმ მანკიერებათა ძირითადი ფესვი, რომლებიც მთავარ სახელმწიფოებრივ პრობლემას შეადგენენ და სახელმწიფოს ანგრევენ. სამწუხაროდ, კორუფციისაკენ მიდრეკილებას, კანონის უპატივცემულობას, დაბალ სამოქალაქო შეგნებას, უინიციატივობასა და უგერგილობას საძირკველი სკოლაში ეყრება, სადაც ნიშნის მიღება მხოლოდ სიყალბით ხდება შესაძლებელი. სწავლაზე გულაცრუებულ მოსწავლეებს სარბიელად ქუჩა რჩებათ. ამასთან, ახალგაზრდებში ღრმად გამჯდარი არასრულფასოვნების გრძნობა იწვევს გაუცნობიერებელ და უმართავ აგრესიულობასა და კრიმინალურ ქცევებს, ნარკომანიასა და სხვა სიმახინჯეებს. ამ უბედურებებს სწორედ სკოლა უწყობს ხელს.

— ახლახან განათლების მინისტრმა განაცხადა, რომ მოსწავლეებზე დატვირთვა უნდა შემსუბუქდეს და მათ მეტი დრო უნდა დარჩეთ გარე აქტივობებისთვის. „ჩვენ უნდა შევეცადოთ, რომ ბავშვებს ჰქონდეთ დრო იყვნენ ბავშვები. იყვნენ უფრო ბედნიერები, მოტივირებულები და უკეთეს შედეგებს მიაღწიონ“- ეს ალექსანდრე ჯეჯელავას სიტყვებია.

— ერთია რას ვიტყვით და მეორეა, რას გავაკეთებთ. საჭიროა სასწავლო პროგრამებისა და სტანდარტების განახევრება როგორც სირთულის, ისე საერთო მოცულობის მხრივ. ამასთან, არ უნდა შემცირდეს სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საათების რაოდენობა! საჭიროა სწავლების მეთოდიკათა სერიოზული გარდაქმნა. დაუშვებელია განათლების სისტემაში ფსიქოლოგიური მეცნიერების უგულებელყოფა.

— თქვენი აზრით, რა უნდა გაკეთდეს ზოგადი განათლების სისტემაში ვითარების გამოსაწორებლად?

— განათლების სისტემაში იმდენი რამეა შესაცვლელი, რომ ერთ საგაზეთო წერილში ყველაფრის ჩატევა შეუძლებელია, თუმცა, ვეცდები მნიშვნელოვან საკითხებზე გავამახვილო ყურადღება. უცხო ენის საგაკვეთილო სწავლება უნდა დაიწყოს III კლასიდან, როგორც ამას 2004-2007 წლებში სამინისტროს ექსპერტები მოითხოვდნენ. მოსწავლეებისთვის უფასო კომპიუტერების დარიგება უზარმაზარ ხარჯებს იწვევს, შედეგები კი საეჭვოა, თუ სულაც უარყოფითი არა. ჩვენი ახალგაზრდების უმრავლესობა ისედაც ეკრანომანიის სენითაა დაავადებული, რაც ნარკომანიისა და აზარტომანიის მსგავსი მძიმე ადიქციაა და სასტიკად აფერხებს სწავლა-განათლებასა და ნებისყოფის განვითარებას.

უაზრობაა, სიყალბეა და უფრო მეტიც, მავნებლობაა, როცა ყველა მოსწავლეს ყველა საგანი თანაბარ დონეზე მოეთხოვება, არსებული საკანონმდებლო ბაზა კი ყველა საფეხურზე სასტიკად კრძალავს კლასებისა თუ სკოლების დიფერენცირებას, არადა სწავლების დიფერენცირება. თანამედროვე პედაგოგიკაში უმთავრეს პრიორიტეტადაა აღიარებული.

ჩემი აზრით, უნდა დაწესდეს რამდენიმე არსებითად განსხვავებული ტიპის ან პროფილის საშუალო სკოლა, რომლებშიც მოსწავლეები მათი ინტერესების, მიდრეკილებათა და შესაძლებლობათა შესაბამისად გადანაწილდებიან. უცხოეთის სახელმწიფოებში ამის მდიდარი გამოცდილებაა დაგროვებული. ყველაზე სოციალისტური განათლების სისტემა ფინეთშია, მაგრამ იქაც კი იძულებულნი გახდნენ, რომ X კლასიდან სკოლების დიფერენცირება მოეხდინათ. განათლების კანონშიც და განათლების პრაქტიკაშიც უნდა გაუქმდეს ყველა მუხლი, რომელიც ზღუდავს სკოლების მრავალვარიანტულობას, პედაგოგიკურ ინიციატივებს, გაღრმავებულ სწავლებას, კლასგარეშე წრეების მუშაობას, დიდი კლასების გაყოფას მშობელთა ხარჯზე და სხვა. ვიცით, რომ ეს შეზღუდვები წინა ხელისუფლებამ დააწესა, მაგრამ ამჟამადაც ძალაშია.

— როგორ ფიქრობთ, აუცილებელია თუ არა, სწავლების ხარისხის ამაღლებისთვის მასწავლებლებისთვის ხელფასების გაზრდა და კლასში მოსწავლეების რაოდენობის შემცირება?

— ვითარება იმდენად მძიმეა, რომ მეეჭვება ხელფასების მომატებამ რამე შეცვალოს. რაც შეეხება მოსწავლეთა რაოდენობას, აუცილებელია კლასში მოსწავალეთა რაოდენობის მკვეთრი შემცირება. საბჭოთა ავტორიტარულ სკოლაში კიდევ შეიძლებოდა კლასში 35 მოსწავლის ყოფნა, მაგრამ ამჟამად 20-ზე მეტი მოსწავლე უკვე ძალიან ძნელია - მასწავლებელიც წვალობს და სწავლების ხარისხიც დაბალია. საუბრის ბოლოს გეტყვით, რომ საგანმანათლებლო სტანდარტების შემდგენელთა მთავარი შეცდომა რეალობისგან სრული მოწყვეტა და გრანდიოზულობის მანიაა. ფსიქოლოგია მოითხოვს, რომ სტანდატები არა სასურველობის (რა უნდა იცოდეს მოსწავლემ), არამედ პოპულაციის არსებული რეალური დონის გათვალისწინებით შედგეს. სტანდარტები უნდა დამტკიცდეს 5 წლის ვადით. საერთაშორისო გამოცდილებით 5 წელიწადში მოსწავლეთა საშუალო ცოდნის მატება 15-20 %-ით უდიდეს წარმატებად ითვლება. 25-30 %-იანი მატება ჯერ არსად არ მომხდარა, მიუხედავად დიდი დაფინანსებისა. ჩვენში არსებული დაფინანსების პირობებში, ეს ფანტასტიკაა, მაგრამ იყოს ეს 20 % და ნუ იქნება 100 და 120 %, რაც შიზოფრენიულ აკვიატებას ჰგავს. თუკი, მართლაც მივაღწიეთ 10-12 %-იან მატებას, მომდევნო 5 წლისთვის დაიგეგმოს კიდევ 20 %-იანი მატება და ასე შემდეგ. ეს იქნებოდა სახელმწიფოს უდიდესი გამარჯვება.

ნელი თორდია
571 35 36 88

ქართული მიწების უცხოელებზე გასხვისება ქვეყნის ღალატია!

ქვეყანაში, რომელსაც დარღვეული აქვს ტერიტორიული მთლიანობა, დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან 26 წლის შემდეგაც არ მომხდარა სახელმწიფო საზღვრების დემარკაცია-დელიმიტაცია და მკვიდრი მოსახლეობაა უმიწოდ დარჩენილი, მიწას უცხოელებზე ყიდიან. როგორც ჩანს, საქართველოს ვერცერთმა ხელისუფლებამ გაარკვია ინვესტიციის არსი და ქართული მიწის უცხოელებზე გაყიდვას, ინვესტიციის მოზიდვად აფასებენ, ამას ჩვენი დასავლელი პარტნიორებიც ითხოვენო. საქმეში ჩახედული ადამიანების განცხადებით, ჩვენგან არავინ არაფერს ითხოვს, უბრალოდ მიწის მასობრივი გაყიდვა მავანთა კერძო ინტერესების სფეროა. ეტყობა, სწორედ ამიტომ მოიხსნა უცხოელებზე მიწის გასხვისების აკრძალვა და კონსტიტუციის პროექტშიც ჩაწერეს, განსაკუთრებულ შემთხვევებში გაიყიდოს უცხოელებზეო. „განსაკუთრებულ“ შემთხვევაში ალბათ ე.წ. ინვესტიციების მოზიდვას გულისხმობენ. მიწის რეფორმა თავის დროზე დარღვევებით რომ ჩატარდა, არაერთხელ უსაუბრიათ კომპეტენტურ ადამიანებს. კანონიერი ხელისუფლების დამხობიდან ერთი თვეც არ იყო გასული, რომ მიწის რეფორმასთან დაკავშირებით დადგენილება „გამოაცხვეს“ და ქართული მიწების განიავება დაიწყეს, ამ პროცესის პიკმა ნაციონალების მმართველობისას მიაღწია და ახლაც „წარმატებით“ გრძელდება. ხსენებული დადგენილების (მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 18 იანვრის №48 დადგენილება) მიხედვით, ქვეყანაში არსებული მიწები სახელმწიფო მიწის ფონდად და მიწის რეფორმის ფონდად დაიყო. ამ უკანასკნელიდან მოხდა საქართველოს მოქალაქეების მიწის ფართობებით „დაკმაყოფილება“. შემდეგ მიწის რეფორმის მარეგულირებელი სხვა ნორმატიული აქტებიც მიიღეს. სახალხო ქონებიდან რა გაიმეტეს „პუტჩისტებმა“ მოსახლეობისთვის, ეს ცალკე თემაა, რასაც მომავალში კვლავ დავუბრუნდებით. სპეციალისტთა განცხადებით, №48 დადგენილება და მასზე დაყრდნობით გამოცემული გამოცემული ნორმატიული აქტების კანონიერება სერიოზულ ეჭვს იწვევს.

გვესაუბრება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიწის კომისიის წევრი, არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიცია „ფარის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი ვანო ჩოლოყაშვილი.

- №48 დადგენილება მინისტრთა კაბინეტის მიერაა დამტკიცებული და თენგიზ სიგუა აწერს ხელს, არადა როცა ეს დადგენილება მიიღეს, ქვეყანას სამხედრო საბჭო მართავდა, შემდეგ იყო სახელმწიფო საბჭო, მხოლოდ ედუარდ შევარდნაძის მოსკოვიდან ჩამოსვლის და მისთვის ქვეყნის მეთაურის სტატუსის მინიჭების შემდეგ ჩამოყალიბდა მინისტრთა კაბინეტი. თუ მაშინ მინისტრთა კაბინეტი არ არსებობდა, რა უფლება ჰქონდა თენგიზ სიგუას, რომ ამ კაბინეტის ხელმძღვანელის რანგში აწერდა ხელს ესოდენ მნიშვნელოვან დოკუმენტს? ჩვენ ახლა ყველა ეს დოკუმენტი ამოვიღეთ და გადავუგზავნეთ, როგორც მინისტრთა კაბინეტს, ისე პარლამენტს, პრეზიდენტს, იუსტიციის სამინისტროს და პროკურატურას, მაგრამ ხსენებულ კითხვაზე ვერავინ გაგვცა პასუხი. ერთადერთი პროკურატურამ მოგვწერა, ფაქტები არ არის და ჭეშმარიტების დასადგენად შეგიძლიათ სასამართლოს მიმართოთო. დანარჩენ დოკუმენტებზეც ან გაყალბებულია ხელმოწერები, ან მითითებულ პირთა ნაწილის ხელმოწერა საერთოდ არ არის. ასეთი ხარვეზებია იმ დოკუმენტაციაში, რომელზეცაა აგებული მიწის პრივატიზაცია. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ყველაფერი შეგნებულად არის გაკეთებული სახალხო საკუთრების განიავებისა და დასაკუთრებისთვის. დაიწყო მიწების ათვისება, მოსახლეობას გადაეცა გარკვეული ნაწილი, დანარჩენი ფართობები, რომელიც გაცილებით მეტი მოცულობისაა, სახელმწიფოს საკუთრებაში დარჩა, ყოფილი მეურნეობებისა თუ კოლმეურნეობების საკუთრებაში, რომელთაც ამ მიწის პრივატიზების უფლება მიეცათ. ამ პრივატიზებას ხალხმა სრულიად სამართლიანად უწოდა პრიხვატიზაცია, სახალხო ქონება, რომლის ღირებულებაც მილიარდებს უტოლდებოდა, ფაქტობრივად ბოლომდე გაანიავეს. ჩვენ იმ პირველსაწყისი დოკუმენტების კანონიერებას ეჭვქვეშ ვაყენებთ და ვითხოვთ, რომ ეს საკითხი სახელმწიფოებრივ დონეზე გაირჩეს, ეს ყველაფერი არ გვაძლევს იმის საშუალებას, რომ ვირწმუნოთ, ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ საფუძვლიანი რეფორმის გატარება. ჩვენი კოალიცია სისხლხორცეულად არის დაინტერესებული ამ საკითხით, სახელმწიფო უწყებებიდან ჭეშმარიტების დამდგენი პასუხი ჯერ ვერ მივიღეთ, ამიტომ ინტენსიურად ვაგრძელებთ მუშაობას. გაჩუმება აღარ შეიძლება, რადგან თვალსა და ხელს შუა გვეცლება ქვეყანა. ადამიანმა ერთი დღით არ უნდა იცხოვროს, ფულმა არ უნდა შეიწიროს ქვეყნის ინტერესი, შთამომავლობას რას ვუტოვებთ? ადამიანის ყველა აქტივობა მიწასთან არის მიბმული, ჩვენ კი ამ მიწას უცხოელებზე ვასხვისებთ, ბუნება არაფერს გვაპატიებს, ადრე თუ გვიან პასუხს გვაგებინებს ყველაფერზე.

ქვეყანაში არ არსებობს მიწის მართვისა და რეგულირების ერთიანი ორგანიზაცია, რამდენიმე სამინისტროშია მიწის საკითხები განფენილი. ორ ათეულ წელზე მეტია დამოუკიდებელი სახელმწიფო ვართ და დღემდე არ გვაქვს მიწის კოდექსი, რაც დიდი დანაშაულია. ჩვენ ახლა იმის შესწავლას ვახდენთ, რომელი სამინისტრო რას აკეთებს, გვინდა მიწის კვალიფიცირებული მართვა ხდებოდეს, რადგან, როცა რაღაც უარყოფით შედეგებს ვიღებთ, პასუხს არავინ აგებს, მიდის ერთმანეთზე გადაბრალება. ამ ყველაფრის პარალელურად ქართული მიწის უცხოელებზე მასიური გასხვისება ხდება, ყველგან რთული ვითარებაა, მაგრამ განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა ქვემო ქართლშია. გარდაბნის რაიონში, სადაც ჩვენი ეკომიგრანტები უმიწოდ არიან დარჩენილი, ბურებზე ათასობით ჰექტარი მიწაა გასხვისებული. 3.000 ბურიდან, რომელთა შემოყვანაც საკაშვილის „დამსახურებაა“, თუ არ ვცდები სამი ბურიღაა დარჩენილი და 200-300 ჰა-ს თუ ამუშავებენ, რისთვისაც ისევ ქართველებს ქირაობენ. ახლახანს პარლამენტში მიწის საკითხი რომ იხილებოდა, სოფელ ლემშვენიერადან უმიწოდ დარჩენილი ხალხი იყო ჩამოსული, მათგან გავიგე, რომ ეს მიწები 2008 წლის ომიდან რამდენიმე დღის შემდეგ, 20 აგვისტოს გაუსხვისებიათ, რომელიღაცა შპს-ს თუ კომპანიას მიუყიდია ბურებისთვის. ქვეყანა რა მდგომარეობაში იყო და ესენი მიწის რესურსს უცხოელებზე ასხვისებდნენ, მით უმეტეს, რომ ჩვენი მოსახლეობას არ არის დაკმაყოფილებული. ამას გარდა, ძალიან ადვილად ხდება მიწის კატეგორიის შეცვლა, ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია შეიტანოს განცხადება, გადაიხდის გარკვეულ თანხას და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწას უპრობლემოდ შეუცვლიან კატეგორიას და მერე როგორც არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა ისე იყიდება. ამ ყველაფრის გამოსწორება და დარეგულირებაა საჭირო. თვითონ კანონებიშია ვეებერთელა ხვრელები დატოვებული, რომელიც მანიპულირების საშუალებას იძლევა და საბოლოო ჯამში სავალალო შედეგებს ვიღებთ. სახელმწიფო საზღვრის მიმდებარედ, 500-მეტრიან ზოლში მიწის გაყიდვა დაუშვებელია, არადა ზუსტად ამ ზოლშია უცხოელებზე გასხვისებული 2520 ნაკვეთი ქვეყნის მასშტაბით, ეს ინფორმაცია საჯარო რეესტრიდან მაქვს აღებული. საბჭოთა კავშირის დროს ხომ მკაცრად კონტროლდებოდა ყველაფერი, მაგრამ მცირემიწიან ადგილებში, მაგალითად აჭარაში მაშინაც აძლევდნენ საზღვრის მიმდებარე ზოლში მიწის დამუშავების უფლებას, მაგრამ მხოლოდ იქაურ მკვიდრებს. აქ კიდევ ერთი ფუნქციაა, გარდა იმისა, რომ ის ადამიანი მიწას ამუშავებს, მას მორალური ვალდებულებაც ეკისრება, რომ საზღვარსაც მიაქციოს ყურადღება, მაგრამ რა გამართლება აქვს, როცა აზერბაიჯანისა და სომხეთის საზღვართან უცხო ქვეყნის მოქალაქეზე ყიდი მიწას, ამ დროს ხომ ქვეყნის უსაფრთხოებაც დგება დარტყმის ქვეშ? ეს ყველაფერი კიდევ შესასწავლია, ჯერ ბოლომდე არ გავქვს შესწავლილი. დღეს ქვეყანაში ძალზე არასასურველი დემოგრაფიული ვითარება გვაქვს. ბოლო ხანს გაეროს მიერ კავკასიაში ჩატარებული დემოგრაფიული კვლევის მონაცემებით, 2050 წლისთვის აზერბაიჯანის მოსახლეობა 22%-ით იზრდება, სომხეთის 7%-ით, ხოლო ქართველების რაოდენობა 7%-ით მცირდება, რაც ძალზე საგანგაშო ციფრია. საზღვრისპირა გაყოლებაზე სოფლებია უკვე დაცარიელებული, ჩემი ინფორმაციით, 260-მდე სოფელია უკვე დაცარიელებული, უამრავი სოფელია სადაც ათი და უფრო ნაკლები მოსახლეა. სახელმწიფომ რაღაც კარდინალური ზომები უნდა გაატაროს, რომ ის სოფლები და საერთოდ საზღვრისპირა ტერიტორიები შეივსოს და არ გაუკაცრიელდეს, თორემ ცარიელ ადგილს აუცილებლად გამოუჩნდება პატრონი, რისი მწარე მაგალითებიც მრავლად გვაქვს.

აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარის ყოფილ მოადგილეს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს გელა ხუციშვილსაც გავესაუბრეთ, რომელიც ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, რამდენიმე თვე გარდაბნის რაიონის გამგებლის თანამდებობას იკავებდა.

- მადლობელი ვარ, რომ თქვენი გაზეთი დაინტერესდა ამ ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საკითხით. სამწუხაროდ, ჟურნალისტთა უმეტესი ნაწილი, მხოლოდ სენსაციური ფაქტებისა და მოვლენების კონსტატირებას ახდენს, ხოლო თემა, რომელიც სისხლხორცეულადაა დაკავშირებული ჩვენი ქვეყნის მომავალთან, ყურადღების მიღმა რჩება. დღეს ურთულესი მდგომარეობაა შექმნილი იმ მხრივ, რომ ერთ სულ მოსახლეზე სახნავ-სათესი ფართობები არასაკმარისია, რადგან უმეტესად ეწერი და მლაშე ნიადაგია, მეწყრული ზონებიც მრავლადაა. კომუნისტების მმართველობისას 85.000კვ.კილომეტრი დაღესტნის ტერიტორიაზე გვქონდა საძოვრად გადმოცემული, დამატებით 100 კვ.კმ კი ჩრდილოეთ ოსეთში ყაზბეგის მიმართულებით, გასაგები მიზეზების გამო, ჩვენ ეს ფართობები დავკარგეთ, ამიტომ საძოვრების პრობლემა ძალიან მწვავედ დგას ქვეყანაში. რომ ამბობენ, ჩვენი მიწები აუთვისებელიაო, ასე

იმიტომაა, გლეხს არავინ ეხმარება, აღარც გასაღების ბაზარი გვაქვს, გლეხი დამოუკიდებლად ვერც პროდუქციის მოყვანას შეძლებს და ვერც გასაღებას. გარდაბანში ძალზე რთული ვითარებაა, რაიონი, რომელიც თავის დროზე ბოსტნეულის ბელელად ითვლებოდა, დღეს მესაქონლეობაზეა გადასული. უმეტესად იონჯა ითესება, რომელიც 20-წლიანი კულტურაა და მის შემდეგ რა მოვა ამ მიწაზე, კაცმა არ იცის. ვითარებას ის ართულებს, რომ უზარმაზარი მიწის ფართობები ერთეული პიროვნებების ხელშია მოქცეული. ჩვენ გია ბერძენიძის პოლიტიკურ მოძრაობასთან ერთად დავიწყეთ მასალების შესწავლა, ამ ეტაპზე 2005 წლიდან მოყოლებულ პერიოდს ვსწავლობთ, შემდგომ 90-იან წლების შესწავლაზეც გადავალთ, ანუ იმ პერიოდზე, როცა მიწის რეფორმები დაიწყო. ვაგროვებთ და ვიკვლევთ მასალებს იმ საკრებულოს დეპუტატებზე, რწმუნებულებზე, გამგებლებზე, საკრებულოს თავმჯდომარეებზე და განსაკუთრებით მიწის ლეგალიზაციის კომისიის თავმჯდომარეებზე, რომლებიც მოცემულ პერიოდში იკავებდნენ თანამდებობებს. 90-იანი წლების რეფორმებს თაღლითობად მივიჩნევ, 2005 წლის მიწის აუქციონები კი მოსახლეობის ძარცვა იყო. ამ ყველაფრიდან გამომდინარე გადავიდა მიწის უზარმაზარი ფართობები მათსა და ხელისუფლებასთან დაახლოებული ხალხის ხელში. მოგვიანებით, როცა მათ ეს ყველაფერი დაიკანონეს, მესამე პირების მეშვეობით მიწის უცხოელებზე გაყიდვა დაიწყეს. ჩემი აზრით, ეს ქვეყნის ღალატის ტოლფასია, მიწის აღებ-მიცემობით დაკავებული ხალხი კანონის წინაშე თუ ვერ აგებენ პასუხს, მორალური პასუხისმგებლობა მაინც უნდა დაეკისროთ. სხვა გამოსავალი არ არის, ჩვენ ალბათ დავიწყებთ მათი გვარ-სახელის გამოქვეყნებას, შთამომავლობამ უნდა იცოდეს, ვინ დაუკარგა მომავალი. ერთი პერიოდი, ქართული მიწები დიდი ინტენსივობით ჩინელებისა და ინდოელების ხელში გადადიოდა, ბურებიც ძალზე აქტიურობდნენ. ახლა ქართული მიწები ირანელებისა და არაბების ხელში გადადის. ამ ეტაპზე ქვემო ქართლზე გავამახვილებ ყურადღებას, რადგან ეს რეგიონი წინა საუკუნეებში ქართველებისგან თითქმის გაუკაცრიელებული იყო, მე-20 საუკუნის 30-40-იან წლებში გატარებული კონფიდენციალური პოლიტიკის წყალობით, დემოგრაფიული ბალანსი აღვადგინეთ, მაგრამ დღეს ვითარება ისევ რთულდება. საერთაშორისო სამართალში არის ცნებები, დემოგრაფიული და ეკონომიკური ექსპანსია, როდესაც მეზობელი ქვეყნების ეთნოსი იკავებს საზღვრისპირა რაიონებს, იწყებს სამეურნეო საქმიანობას, ეკონომიკურად ძლიერდება, მისი კავშირი მეზობელ სახელმწიფოსთან უფრო ინტენსიურია და ეს ტერიტორია თანდათან სეპარატიზმის კერა ხდება. დასავლეთთან ჩვენი ურთიერთობაც, მათი სხვადასხვა რეკომენდაციებიც გარკვეულ გავლენას იქონიებს ამ ყველაფერზე, ამას ემატება ადგილობრივი მოსახლეობის ქვეყნიდან გადინება და საბოლოო ჯამში, სავალალო შედეგების წინაშე აღმოვჩნდებით. კომუნისტების პერიოდს ნამდვილად არ მივტირი, მაგრამ მაშინ მოსახლეობას ადგილზე ვინარჩუნებდით, რადგან სოფლებში იყო ამბულატორია, კლუბი, სოფლსაბჭო, სკოლა და ა.შ. დღეს რაიონების გამსხვილებას და გარკვეული სამსახურების გაუქმებას აპირებენ, რაც ვითარებას კიდევ უფრო გაართულებს. არ მინდა ხოლმე პერსონიფიცირება, მაგრამ არ ვიცი რა ვუწოდო მიხეილ სააკაშვილს, რომლის მმართველობისასაც გააუქმეს ის ადმინისტრაციული ერთეულები, სადაც მოსახლეობის რაოდენობა 2-3 ოჯახს არ არ აღემატებოდა. ეს ძირითადად ხევსურეთისა და მთათუშეთის მიდამოებში, ანუ საზღვრისპირა ზოლში მოხდა. მეეჭვება, რომ სააკაშვილმა ეს დაუდევრობის, გამოუცდელობისა თუ ახალგაზრდული სიმჩატის გამო გააკეთა, ვფიქრობ, აქ სულ სხვა მიზეზი იყო.

- რას გულისხმობთ?

- აქ ვერაგული ზრახვა იყო ჩადებული, სოფლის გაუქმებასთან ერთად, საძოვარებიც უქმდებოდა და ის ტერიტორია საპრივატიზაციო ფონდში გადადიოდა. ამას დაუმატეთ ის 140 სოფელი, რომელიც 2008 წლის ომის შედეგად ქართველებისგან დაიცალა, მთლიანად მოიშალა დემოგრაფიული ფონი. მე შორს ვარ იმ აზრისგან, რომ აქ რაღაც სხვაა ჩადებული, მაგრამ ფაქტია, რომ ქართული მიწის შეძენის მსურველი ირანელები განსაკუთრებულ ინტერესს ვაზიანის, საგარეჯოსა და უდაბნოს მიმართულებაზე იჩენენ, რაც დღეს თუ არა ხვალ, კიდევ უფრო დაამძიმებს მდგომარეობას. მე შეიძლება მოძველებული აზროვნება მაქვს, მაგრამ ვფიქრობ, ყიდვა-გაყიდვის საგანი საქონელი უნდა იყოს, ის, რაც ადამიანის შრომით იქმნება და არა მიწა. მსოფლიოს თითქმის არცერთ ქვეყანაში არ ხდება მიწის მასობრივი გაყიდვა, მით უმეტეს უცხოელებზე. ქვეყანაში, სადაც ტოტალური უმუშევრობაა, გამარტივებული წესით არ უნდა ხდებოდეს იაფი მუშახელის „იმპორტი“, რომელიც პირველ რიგში ადგილობრივ მოსახლეობას უწევს კონკურენციას. ეს არალეგალი მიგრანტები საშოვარზე მოდიან საქართველოში, რომელი მათგანია კვალიფიციური სპეციალისტი?! ნახეთ რა ხდება გარშემო, განსაკუთრებით ღამის საათებში. უცხოელთა უკონტროლო შემოდინება კრიმინალურ სიტუაციასაც ამძიმებს, ჩვენ კიდევ ბევრი რამ არ ვიცით, რაც ჩვენს ქვეყანაში ხდება. ჩემი აზრით, ტრანსნაციონალური დანაშაული ყველა კომპონენტია ფართოდ წარმოდგენილი საქართველოში. ბევრ უწყებაში ვარ ნამუშევარი, მათ შორის ძალოვან სტრუქტურებში, ჩემი გამოცდილება საშუალებას მაძლევს, რომ ანალიზი გავაკეთო, სათანადო სიმაღლეზე არ უსაფრთხოების სამსახურია და არც საზღვრის დაცვის სამსახური, თუმცა რა მოთხოვნასაც უყენებენ, ისინიც იმას აკეთებენ. ჩემი ინფორმაციით (თუ უზუსტობაა, შეგიძლიათ გადაამოწმოთ), უცხო ქვეყნის მოქალაქეების ოჯახმა საქართველოში მუშაობის უფლება რომ მიიღონ, 35.000 დოლარი უნდა გადაიხადონ იუსტიციის სამინისტროში, შემდგომში მოქალაქეობა რომ მიიღონ, უძრავ ქონებას უნდა ფლობდნენ. იმიტომაც არის, რომ ახლადაშენებულ კორპუსებში ძირითადად უცხოელები ყიდულობენ ბინებს. რას ფიქრობს ხელისუფლება არ ვიცი, როგორ შეიძლება ამის გაკეთება. ვფიქრობ, გეგმაზომიერად ხდება დემოგრაფიული ფონის შეცვლა ადგილობრივი აბორიგენი მოსახლეობის ხარჯზე. თუ გავიხსენებთ სინგაპურში ჯერ კიდევ 80-იანი წლებიდან დაწყებულ ეკონომიკურ პროგრესს, საქართველოშიც მსგავსი რამ ხდება. შეიძლება ჩვენთან უნებლიეთ მიდის აქეთ ყველაფერი, მაგრამ ფაქტია, რომ სინგაპურშიც აბორიგენული მოსახლეობის პროცენტული შემადგენლობა ძალიან დაბალია. მე არ ვიცი მომავალში რა და როგორ მოხდება, ერთია, დღეს მიწის ყიდვა-გაყიდვის ობიექტად გადაქცევა არის დანაშაული.

მანანა სუხიშვილი
599 51 28 24

(გაგრძელება იქნება)

ჩვენთვის მთავარია შევინარჩუნოთ სიმშვიდე და არ ავყვეთ ასეთი ტიპის პროვოკაციებს

ჩვენი პოლიტიკური შეფასება ასეთია, რომ ეს მიუღებელია, რაც შეეხება სამართლებრივ მხარეს, ეს არის სამართალდამცველი ორგანოების პრეროგატივა და ჩვენც ბუნებრივია ამით დავინტერესდებით, — ასე გამოეხმაურა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, ირაკლი კობახიძე საქართველოში მოსკოვის ყოფილი მერის იური ლიუჟკოვისა და ე.წ. „ღამის მგლების“ ჩამოსვლას.

მისი თქმით, ეს არის პროვოკაციები, რომელთა დაკავშირებითაც საქართველომ უნდა შეინარჩუნოს სიმშვიდე.

ეკა ბესელია „ევროპულ საქართველოს“ მიმართავს

— მე მახსოვს პერიოდი, როდესაც ერთ კვირაში სამი მოსმენით იღებდით ცვლილებებს საქართველოს კონსტიტუციაში - ამის შესახებ „ქართული ოცნების“ დეპუტატმა ეკა ბესელიამ ზუგდიდში, საკონსტიტუციო პროექტის საყოველთაო განხილვის დროს შემაჯამებელი სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

„მე მინდა ჩვენს კოლეგებს ოპოზიციიდან, ქალბატონ ლელა ქებურიას ვუთხრა, რომ ჩვენ კარგად გვახსოვს ის დროს, როდესაც ასეთი რამ წარმოუდგენელი იყო წინა ხელისუფლების დროს.

მე მახსოვს პერიოდი, როდესაც ერთ კვირაში სამი მოსმენით იღებდით ცვლილებებს საქართველოს კონსტიტუციაში. იმას ვაპროტესტებდით, თუმცა მაშინ თქვენი ხმა არ მესმოდა, რომ ეს იყო უსულგულო ვერაგული დამოკიდებულება კონსტიტუციის მიმართ. ჩვენ დღეს მათთან ერთად ვსაუბრობთ, რადგან გავიზარდეთ პოლიტიკურად. მე მივესალმები ამ დისკუსიას და ბევრი საინტრერესო მოსაზრება მოვისმინე“, — განაცხადა ეკა ბესელიამ.

სირიაში ტყვედ აყვანილი „რუსი პოლკოვნიკი“ სიკვდილით დასაჯეს

ტერორისტულმა დაჯგუფება „ისლამურმა სახელმწიფომ“ ვიდეომასალა გამოაქვეყნა, რომელშიც, მათი მტკიცებით, სირიაში ტყვედ აყვანილ „რუს პოლკოვნიკს“ სიკვდილით სჯიან. 12-წუთიან რუსულ ენაზე ჩაწერილ ვიდეომასალაში ნაჩვენები მამაკაცი სირიაში რუს სამხედროებს ჩაბარებისკენ მოუწოდებს. ვიდეოჩანაწერში მას როგორც „პოლკოვნიკ ევგენი პეტრენკოს“ მოიხსენიებენ. ჩანაწერში ნათქვამია, რომ ის 2016 წლიდან სირიაში და ერაყში მსახურობდა. ამის შემდეგ მას „ისლამური სახელმწიფოს“ ტერორისტმა ყელი გამოჭრა.

„ამ იდიოტს თავისი სახელმწიფოს დანაპირების სჯეროდა, რომ თუ ტყვედ აიყვანდნენ, მას არავინ მიატოვებდა“, — ნათქვამია ვიდეომასალაში.

ვიდეოს ავთენტურობის და დასჯილი პირის ვინაობა დადგენილი არ არის.

21 წლამდე ასაკის პირთა აზარტულ თამაშებში დაშვება შესაძლოა, დასჯადი გახდეს

Bpn-ის ინფორმაციით, შესაბამის ნორმას სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი აზარტული და მომგებიანი თამაშობის შესახებ საკანონმდებლო ცვლილებების პროექტი ითვალისწინებს. პროექტის მიხედვით, ასევე სავალდებულო ხდება თამაშობის ადგილზე საქართველოს მოქალაქის დაშვება მხოლოდ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენით. ონლაინ კაზინოში მოგებული თანხის გატანა კი შესაძლებელი იქნება მხოლოდ მოთამაშის პირად საბანკო ანგარიშზე გადარიცხვით.

„აიკრძალება სალაროდან თანხის გატანა, რაც გამოიწვევს არასრულწლოვანი პირების თამაშის შეზღუდვას, თანხის მოძრაობის კონტროლს, ობიექტში ელექტრონული თამაშობიდან მიღებული მოგების გასაცემი სალაროების გაუქმებას და ასევე, ობიექტების გარეთ არსებული სალაროების ცნების გაუქმებასაც“, — აღნიშნულია საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტში, რომელიც შემოსავლების სამსახურმა მოამზადა.

ჩემ მიერ საქართველოს დატოვების მიზეზი ის უნიჭოდ დადგმული შოუა

საქართველოში დარჩენის სურვილი აღარ მქონდა, - ამის შესახებ "ინტერპრესნიუსს" პატრიარქის დაცვის ყოფილმა უფროსმა, სოსო ოხანაშვილმა განუცხადა.

მისივე თქმით, გერმანიაში „სამსახურის გამო წავიდა“, თუმცა იქვე აღნიშნა, რომ დასაქმების შეთავაზება საქართველოშიც მიიღო.

„საერთოდ, ჩემ მიერ საქართველოს დატოვების მიზეზი, რა თქმა უნდა, ის უნიჭოდ დადგმული შოუა, რომელმაც შეძრა ქართული საზოგადოება.

საქართველოში უბრალოდ სურვილი აღარ მქონდა დარჩენის. დასაქმების შემოთავაზებები მქონდა, მაგრამ დარჩენის სურვილი — არა“, — აღნიშნა ოხანაშვილმა.

რაც შეეხება შეკითხვას, რამდენად ვარაუდობდა, რომ ე.წ. ციანიდის საქმეზე შესაძლოა მისი დაკავებაც მომხდარიყო, ოხანაშვილის თქმით, ამის შიში ნამდვილად არ ჰქონია და საქართველოს დატოვების შესახებ გადაწყვეტილება აღნიშნულს არ უკავშირდება.

„არა, ამიტომ არ წამოვსულვარ. მაგის შიში მართლა არ მაქვს. მე ოთხი შვილი მყავს და ოჯახს შენახვა სჭირდება“, - აღნიშნა პატრიარქის დაცვის ყოფილმა უფროსმა.

სოსო ოხანაშვილმა საქართველო რამდენიმე კვირის წინ დატოვა და გერმანიაში გაემგზავრა.

„მეორედ მოსვლა“ დავითისა, ანუ პატარა კაცი დიდი ამბიციებით

დავით უსუფაშვილმა განაცხადა, ახალ პარტიას ვქმნიო.

პარტიების მეტი რა გვაქვს და კიდევ ახალი პარტია ვის რა ჯანდაბად და დოზანად უნდა, მაგრამ ბატონი დავითი ისეთი ჯიუტი კაცია, რადგან თქვა, განზრახვას აუცილებლად სისრულეში მოიყვანს.

კი, მაგრამ, ხომ ჰქონდა ამ დალოცვილს პარტია, რომლის რეიტინგიც ვერა და ვერ ასცდა 3 პროცენტს, მიუხედავად იმისა, რომ დავით უსუფაშვილს მაშინაც დავით უსუფაშვილი ერქვა და სიმაღლეც, სიგანეც, სახელიც და ავტორიტეტიც ზუსტად იმხელა ჰქონდა, რაც ახლა აქვს.

— არაო, მე ახლა შევიცვალეო, ჭკუა ვისწავლეო, ძალიან კარგი და საყვარელი გავხდიო, ბევრ რამეს მივხვდი და ბევრი რამ გადავაფასეო, — გვიმტკიცებს ბატონი დავითი და ისეთი თბილი და ალერსიანი ხმით გვესაუბრება, მამა აბრამის ბატკანი გეგონება.

— მამა აბრამის ბატკანი კი არა, თინიკოს ბატკანია ეგ, რომელიც ფეხზე ჰყავს ამ ქალბატონს გამობმული და თავის ჭკუაზე დაატარებს აღმა-დაღმაო, — ჩაუგესლა ვიღაცამ სოციალურ ქსელში პატივცემულ დავითს, თუმცა კაცზე, რომელმაც ვაჟკაცურად, როგორც ნამდვილ ქართველ ვაჟკაცს შეჰფერის, წარბშეუხრელად გადაიტანა ფარული ჩანაწერებით გავრცელებული ფრიად ინტიმური და პიკანტური კადრები, ასეთი უწყინარი წკიპურტები არ მოქმედებს.

ახალიო, კი ამბობს ბატონი დავითი, მაგრამ ისეთი რა ახალი პარტია უნდა შექმნას მან, რომ თავისი ახალი იდეებით განგვაცვიფროს და მიგვიზიდოს?

ჯერ ისიც საკითხავია, ქართულ პოლიტიკაში საერთოდ არსებობს კი პოლიტიკური პარტიები თავისი კლასიკური გაგებით?

როგორც სპეციალისტები ამტკიცებენ, არა, არ არსებობს!

ეს უფრო არასამთავრობო ორგანიზაციების მსგავსი გაერთიანებებია, ვიდრე პოლიტიკური პარტიები.

გახსოვთ, ალბათ, დავით უსუფაშვილის ცნობილი მიმართვა შვილებისადმი, სადაც ის ღიად ამბობს, რომ არ აპირებს შვილებს სამშობლოს სიყვარული ჩაუნერგოს და სამშობლოს სიყვარულისკენ მოუწოდოს. მთავარია, ისინი აღიზარდონ თავისუფალ მოქალაქეებად, მერე კი გინდ სამშობლო შეიყვარონ, გინდ — ქალი.

უსუფაშვილის ეს „ისტორიული“ გამონათქვამი ზუსტად ემთხვევა ლიბერალიზმის მთავარი დოქტრინის ძირითად პუნქტებს, რომელთა მიხედვითაც პიროვნების თავისუფლება უფრო მაღლა დგას სახელმწიფოზე და მის ინტერესებზე.

ლიბერალიზმის იდეოლოგია, პირველ ადგილზე აყენებს რა პიროვნების თავისუფლებას, პირდაპირ უპირისპირდება სახელმწიფო ინსტიტუტებს, როგორც პიროვნებაზე ძალადობის, მისი თავისუფლების დათრგუნვის და შეზღუდვის ინსტრუმენტებს.

ლიბერალების მოსაზრებით, სახელმწიფო ან საერთოდ არ უნდა არსებობდეს, ან უნდა არსებობდეს მინიმალური ფორმებით, რომელიც შემოიფარგლება თავისუფალი ინდივიდების ძალადობისა და აგრესიისგან დაცვის ფუნქციით.

აი, ამას ქადაგებს „გირჩი“ და ზუსტად ეს „უქადაგა“ უსუფაშვილმაც თავის შვილებს, ამიტომაც ვთქვით, რომ ჯაფარიძე და უსუფაშვილი ერთი და იგივეა, ერთი და იგივე ფესვიდან ამოსული ხის ორი ტოტია, თუმცა ამ ხეს მხოლოდ ორი კი არა, უამრავი დიდი თუ პატარა ტოტი აქვს, რომელზეც არხეინად არიან ჩამოსკუპებული ე. წ. დასავლური ორიენტაციის პარტიები და ჭილყვავებივით მომრავლებული არასამთავრობო ორგანიზაციები.

მათთვის, ცხადია, სასაცილო და დრომოჭმული ფორმულაა, ვთქვათ, ილია ჭავჭავაძის „ენა, მამული, სარწმუნოება“, ან ეს სტრიქონები: „როგორც უფალი, სამშობლო ერთია ქვეყანაზედა“, ან „ჰე, მამულო, გრძნობა შენი მოვლისა, მარად ყველა ჩვენთაგანის ვალია“, ან „ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე, ძილშიაც ამას ვდუდუნებ“.

არავითარი ვალდებულებები, არავითარი პასუხისმგებლობა ქვეყნისა და სახელმწიფოს წინაშე, არავითარი ზნეობრივი და მორალური ჩარჩოები, სრული თავისუფლება ნებისმიერ არჩევანში — აი, ეს გახლავთ არასრული ჩამონათვალი იმ პრინციპებისა, რომელიც ლიბერალიზმის მიმდევართათვის წმინდათაწმინდა პრინციპებია.

ყოველივე ამის შემდეგ რა გასაკვირია, თუ „გირჩი“ სამხედრო სავალდებულო სამსახურის გაუქმებას მოითხოვს, ხოლო ამ მოთხოვნას წინ უსწრებს უსუფაშვილის თანამეცხედრის მიერ გამოცემული ბრძანება სამხედრო გაწვევის გაუქმების შესახებ, ხოლო ყველაფერ ამას ასევე წინ უსწრებს თავად ბატონი უსუფაშვილის ცნობილი მიმართვა შვილებისადმი, აგრეთვე უსუფაშვილის პარტიის წარმომადგენელთა მხრიდან ილია ჭავჭავაძის შემოქმედებისა და მისი ღვაწლისადმი ირონიული, ცინიკური დამოკიდებულება.

კაცი, რომელიც ამ ანტისახელმწიფოებრივი იდეოლოგიის მატარებელი და მსახური იყო და არის დღემდე, ახლა საქართველოს ბოლომდე დასაქცევად ახალი პარტიის ჩამოყალიბებას გეგმავს და თავისი ბოროტი ზრახვების აღსასრულებლად თანამოაზრეებს და დამფინანსებლებს ეძებს?

უსუფაშვილები და ჯაფარიძეები საქართველოსა და ქართველი ხალხის საშველად კი არ ქმნიან პარტიებს თუ სხვადასხვა სახის ორგანიზაციებს, არამედ ქმნიან ლიბერალური იდეოლოგიის შემქმნელი იმ უცხოელი მამების დასანახად და საჩვენებლად, რომლებმაც შეიძლება თავისი ქვეყნისა და თავისი ხალხის საღალატოდ გამზადებული ავაზაკებისა და გარეწრების დასაფინანსებლად სერიოზული თანხები გაიღონ და მათი პარტიების თუ ენჯეოების სახით პატარ-პატარა ფილიალები გაიჩინონ ამა თუ იმ ქვეყანაში.

ლიბერალიზმის შეფარული ქვეტექსტი პირდაპირ არის დაკავშირებული საყოველთაო გლობალიზმის და მთელი მსოფლიოს ერთი ცენტრიდან მართვის იდეასთან.

ყველაფრისგან გათავისუფლებულ-გაძარცვული ინდივიდები, უსამშობლონი, სახელმწიფოს გარეშე დარჩენილნი, ეროვნული ცნობიერებისგან დაცლილნი, უღმერთონი და ურწმუნონი, სექსუალური ინსტინქტების მონები, რა თქმა უნდა, იოლი სამართავები იქნებიან და მსოფლიოს ახალ წესრიგს ისე დაემორჩილებიან, როგორც რობოტები ემორჩილებიან თავიანთი კონსტრუქტორის მიერ მათ „ტვინში“ ჩამონტაჟებულ პროგრამას.

აი, ამ სატანური ჩანაფიქრის განხორციელებას ემსახურებიან ლიბერალები და, მათ შორის, ქართველი ლიბერალებიც, რომელთა რიგებშიც ბატონ უსუფაშვილს ერთ-ერთი ლიდერის ადგილი უჭირავს.

ბატონო დავით, რით ვერ გაიგეთ, რით ვერ მიხვდით, რომ არ უნდიხართ ქართველ ერს, არ სჯერა და არ სწამს თქვენი, თქვენ კი მაინც ეძალებით და ახალ პარტიას გიქმნითო, საზეიმოდ აუწყებთ.

ეგ თქვენი ახალი პარტია, ძველთან ერთად, თქვენთვის შეინახეთ და დაანებეთ თავი საქართველოს, თქვე ძალად მაცხონეებო.

— პატარა კაცობა გამოამჟღავნაო, — თქვა ბიძინა ივანიშვილმა უსუფაშვილზე, როცა ის და მისი პარტია კოალიციიდან გავიდნენ.

პატარა კაცი იყო ეგ ყოველთვის, პატარა კაცი, დიდი ამბიციებით, რომელიც დიდ კაცობას თამაშობდა და ვიღაც-ვიღაცებს მცირე ხნით ატყუებდა კიდევაც.

უსუფაშვილი ჩვეულებრივი მედროვეა, რომელიც კომუნისტური ეპოქის მიწურულს კომუნისტურ პარტიაში შევიდა და დღეს, ალბათ, რაიკომის მდივანი ან ცეკას პასუხისმგებელი პირი იქნებოდა, ბედს რომ არ ემუხთლა და საბჭოთა კავშირი არ დაშლილიყო.

— მე ის კაცი ვარ, რომელსაც არც იმის სჯერა, რომ ამ ქვეყანაში ყველაფერი ცუდად არის და არც იმის, რომ ამ ქვეყანაში ყველაფერი კარგად არის, — განაცხადა მან თავისი ახალი პარტიის დაანონსებისას.

უსუფაშვილი არც იქით არის, არც აქეთ, არც შუაშია, არც მარცხნივ, არც მარჯვნივ, ის არის ყველგან და ყველასთან და თითოეულს ცალ-ცალკე „უნამიოკებს“, რომ ნებისმიერ დროს მზად არის უღალატოს დანარჩენებს, თუ ეს მისთვის სასარგებლო და სარგებლიანი იქნება.

— ჩვენი მთავარი მიზანია, გადავარჩინოთ „ნაცმოძრაობა“, — განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარე უსუფაშვილმა და მართლაც ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ „ნაცმოძრაობა“ გადარჩენილიყო.

წინდახედული კაცია უსუფაშვილი — ვინ იცის, სად და რაში გამოადგება ეს მისგან გადარჩენილი „ნაცმოძრაობა“ და მისი ნარჩენები.

მით უმეტეს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის ემზადება თურმე და შეიძლება თბილისის მეროსობაზეც კი იყაროს კენჭი.

კი, ბატონო, იყარეთ კენჭი, თუმცა დაიმახსოვრეთ — თქვენი რეიტინგი თქვენთვის ტრადიციული 3 პროცენტის იქით არ წავა — ეგაა თქვენი „პატალოკი“, თქვენ მეტს ვერ გაიზრდებით, ხოლო თუ ვინმე შეცდება და თქვენს „მეორედ მოსვლაში“ ფულს ჩაყრის, ეს დაახლოებით იგივე იქნება, რაც ძირგახვრეტილ ტიკჭორაში ღვინის ჩასხმა...

ვახტანგ ხარჩილავა

დღესასწაული, რომელიც დასასრულს უახლოვდება

წინასწარმეტყველები გვაფრთხილებენ – მსოფლიოს გლობალური კატასტროფა ემუქრება!

XVIII ს-ის წმინდა მამამ კოსმა ეტალოსმა საბერძნეთსა და თურქეთში მრავალი მოვლენის განვითარება იწინასწარმეტყველა. მრავალი მათგანი ზედმიწევნით აღსრულდა. მის წინასწარმეტყველებებში ნახსენებია მესამე მსოფლიო ომის რეალური საშიშროების არსებობა. წმინდა მამა ამბობს, რომ ომი მოკლე პერიოდს მოიცავს, მაგრამ საშინელი შედეგები მოჰყვება. ასევე მიუთითებს, რომ ეს ომი დალმაცის (ყოფილი იუგოსლავიის) ტერიტორიაზე დაიწყება. ყურადღებას ეტალოსი ამ ადგილებზე ამახვილებს, ალბანეთზე, ბოსნიაზე, ბულგარეთზე, ბერძნეთზე, ალბანეთზე, ბულგარეთზე, ბერძნეთზე, ალბანეთზე, ბულგარეთზე, ბერძნეთზე, ალბანეთ

ძლიერი რეგიონები

ხარაგაული

ხარაგაული — წიფაში საბავშვო ბაღი გაიხსნა

25 წელი მაღალმთიანი სტატუსის მქონე სოფელ წიფის მოსახლეობა საბავშვო ბაღის მოლოდინში იყო. ეს მოლოდინი დასრულდა — 25 ბავშვზე გაათვლილი სკოლამდელი დაწესებულება, რომელიც სამი სოფლის მოსახლეობას მოემსახურება, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ნიკოლოზ თოფურიძემ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად გახსნა.

ეს პროექტი 2016 წელს, რეგიონული განვითარების ფონდის დაფინანსებით (64 894 ლარი) აშენდა, ხოლო 2017 წელს ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით (8 000 ლარი) საბავშვო ბაღი ინვენტარითა და ტექნიკით სრულად აღიჭურვა. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში 6 ადგილობრივი დასაქმდა.

ბოლო 3 წლის განმავლობაში ხარაგაულში აშენდა 8 ახალი და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 5 საბავშვო ბაღს.

გურჯაანში ქუჩების რეაბილიტაცია დაიწყო

გურჯაანში ახტალის ჩიხის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს, რომელიც ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება.

დიმიტრი კალატოზიშვილი, გურჯაანის გამგებლის მოადგილე: „ერთ ტენდერში იყო გაერთიანებული ახტალის ჩიხი და სოფელ გურჯაანში მთავარანგელოზის ეკლესიასთან მისასვლელი გზა. ორივე პრობლემური ადგილია, ამიტომაც აქ რკინაბეტონის საფარი დაიგება. სამუშაოები ახტალის ჩიხიდან დაიწყო, შემდეგ ეკლესიასთან მისასვლელი გზა მოეწყობა. ამ სამუშაოებისთვის ჯამში 80 700 ლარია განსაზღვრული.

ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდება გიმნაზიასთან მდებარე ტროტუარის მოასფალტების, კულტურის სახლის ზემოდან მისასვლელი ტერიტორიის მოწესრიგებისა და გურამიშვილის ქუჩაზე რკინიგზასთან საცხოვრებელი კორპუსების ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები“.

რაც შეეხება რეგიონული განვითარების ფონდების პროექტებს, დიმიტრი კალატოზიშვილის თქმით, ტენდერები უკვე დასრულდა და გამარჯვებული კომპანიებიც გამოვლინდა. სამუშაოები დოკუმენტების გაფორმების შემდეგ დაიწყება.

შეგახსენებთ, რომ ახტალის ჩიხი 2011 წელს გურჯაანში წყალგაყვანილობის რეაბილიტაციის დროს გადათხარეს. მას შემდეგ მოსახლეობამ დახმარების თხოვნით გამგეობას არაერთხელ მიმართა. ადგილობრივი ხელისუფლების მიერ აღნიშნული ქუჩა რამდენჯერმე მოიხრეშა, თუმცა ამ გზით პრობლემა ვერ გადაიჭრა. ქუჩის სრული რეაბილიტაცია მხოლოდ ახლა გახდა შესაძლებელი.

ბარისახოში ლიტერატურული კაფე „კაფია“ გაიხსნა

არასამთავრობო ორგანიზაციის — „ხევსური ქალები ჯანსაღი მომავლისათვის“ ინიციატივითა და დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ხელშეწყობით, ბარისახოს ადმინისტრაციულ ერთეულში გაიხსნა ლიტერატურული კაფე „კაფია“. ამის აღსანიშნავად გაიმართა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ შუაფხოს სკოლის პედაგოგები და მოსწავლეები, პატარა პიანისტები — მარიამ და გიორგი წიკლაურები, მიშა წითელაშვილი, ქისტური დიასპორის წარმომადგენელი მექა ხანგოშვილი და მომღერალი დათო კენჭიაშვილი. საღამოს უძღვებოდა ა(ა)იპ „ხევსური ქალები ჯანსაღი მომავლისათვის“ თავმჯდომარე, პოეტი ლელა გაბური. გამომცემლობა „საუნჯის“ წარმომადგენელმა გივი ჩიქვილაძემ ბარისახოს ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები ახალგაზრდები წიგნებით დაასაჩუქრა, აგრეთვე, სიგელები გადაეცა ბარისახოს ჭიდაობა-ძიუდოს სექციის აღსაზრდელებს, ხოლო, პიანისტები — მარიამ და გიორგი წიკლაურები არასამთავრობო ორგანიზაციის სპეციალური სიგელებით დააჯილდოვეს.

საღამოს ესწრებოდა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი ვაჟა ჩოხელი.

ბარისახო

შატილის გზის რეაბილიტაციისთვის 24 მილიონი ლარი გამოიყო

ჟინვალი-ბარისახო-შატილის გზის 32-კილომეტრიანი მონაკვეთის რეაბილიტაციაზე 24 მილიონი ლარი დაიხარჯება. ჩინთიდან სოფელ თვალივამდე გზის რეაბილიტაცია უახლოეს დღეებში დაიწყება. თვალივიდან ჩარგლის გადასახვევამდე სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩასატარებლად კი ტენდერი უკვე გამოცხადებულია.

ჩინთიდან თვალივამდე 16-კილომეტრიანი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები 8 562 675 ლარით არის დაფინანსებული. ამ გზის რეაბილიტაცია შესაძლოა 2017 წლის ბოლომდე დასრულდეს.

დუშეთის რაიონის სოფელ ჩინთიდან შატილამდე 97 კილომეტრია და მის გავლას დაახლოებით 4 საათი სჭირდება. ჩინთიდან თვალივამდე გზა ძალიან არის დაზიანებული. ზაფხულში მტვრის გამო ერთმანეთის მიყოლებით ავტომობილების მოძრაობაც ჭირს, რაც როგორც ადგილობრივი მცხოვრებლების, ისე ტურისტების უკმაყოფილებას იწვევს. ამასთან, ჟინვალის წყალსაცავის ნაპირზე თითქმის მთლიანად არის დაზიანებული დამცავი ჯებირები, რაც ავტოსატრანსპორტო შემთხვევების რისკს ზრდის, განსაკუთრებით ზამთარში.

ფოთი

პირიქითა ხევსურეთთან დამაკავშირებელი საავტომობილო გზა დათვიჯვრის უღელტეხილზე დიდთოვლობის გამო ოქტომბრის ბოლოს იკეტება და მაისის შუა რიცხვებამდე ავტომობილით გადაადგილება შეუძლებელია. უღელტეხილი ზღვის დონიდან 2676 მეტრზეა. ზამთარში ხევსურეთის სოფლებთან დაკავშირება მხოლოდ ვერტმფრენით არის შესაძლებელი. თბილისიდან ხევსურეთში თვეში ერთხელ სასაზღვრო პოლიციის ვერტმფრენი დაფრინავს, რომელსაც მესაზღვრეები გადაჰყავს და,განსაკუთრებულ შემთხვევებში, სასაზღვრო პოლიციასთან შეთანხმებით, ადგილობრივებიც ახერხებენ გადაადგილებას. სამოქალაქო ავიარეისები ხევსურეთში იშვიათად სრულდება. ზამთარში პირიქითა ხევსურეთში, შატილი-მუცოს მხარეს დაახლოებით 15 ოჯახი ცხოვრობს.

ზუგდიდი — „ერთი თბილი ოთახის“ პროგრამაში კიდევ ათი ოჯახი ჩაერთვება

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის უსახლკარო და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე პირთა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის კომისიის გადაწყვეტილებით, „ერთი თბილი ოთახის“ პროგრამაში 10 ოჯახი ჩაერთვება. კომისიამ პრიორიტეტული ოჯახები ანკეტირების შედეგების შეჯამებისა და ვიზუალური (ფოტო) მასალის განხილვის შედეგად გამოავლინა.

„ერთი თბილი ოთახი“ ზუგდიდის გამგეობის ახალი პროექტია, რომელიც მიმდინარე წელს ამოქმედდა და მძიმე საყოფაცხოვრებო პირობების მქონე ოჯახებისთვის ერთი ოთახის კეთილმოწყობას გულისხმობს.

ფოთის 35 მრავალსართულიან კორპუსში შიდა საკანალიზაციო ქსელი მოწესრიგდება

ფოთის მერი ირაკლი კაკულია და საკრებულოს თავმჯდომარე ალექსანდრე თოფურია ნაბადის უბანში, ჯიქიას ქუჩის №5, №7 და №9 საცხოვრებელი კორპუსების მცხოვრებთ შეხვდა და მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებზე ესაუბრა.

ამ საცხოვრებელ კორპუსებში ფოთის მუნიციპალიტეტი, მოსახლეობის თხოვნის გათვალისწინებით, შიდა საკანალიზაციო ქსელს მოაწესრიგებს. სამუშაოები უახლოეს პერიოდში დაიწყება. პროექტის მიხედვით შიდა საკანალიზაციო ქსელი 35

ძლიერი საქართველოსთვის

აბაშა

მრავალსართულიან კორპუსში რეაბილიტირდება.

ქალაქში შიდა საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაციისთვის 760 ათასი ლარი დაიხარჯება. აქედან 217 ათასი ლარი ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოიყო, ხოლო დარჩენილი თანხა, 543 ათასი ლარი — რეგიონული განვითარების ფონდიდან.

აბაშაში ქუჩებზე ტროტუარები ეწყობა

პროექტი ითვალისწინებს ამორტიზებული ბეტონის წყალსაწრეტი არხებისა და ბორდიურების დემონტაჟს, ახალი რკინაბეტონის არხების, არხის ზემოთ გადასასვლელებში ლითონის ცხაურების, ბორდიურებისა და ტროტუარების მოწყობას. ამ ეტაპზე სხვადასხვა ფერისა და ფორმის დეკორატიული ფილებით 450 მეტრი ტროტუარი და 750 მეტრამდე რკინაბეტონის არხი მოეწყობა.

სამუშაოები ადგილობრივი ბიუჯეტიდან 57 519 ლარით ფინანსდება.

სენაკში გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყო

პროექტის მიხედვით, მიმდინარე წელს ახალი ასფალტობეტონის საფარი ქალაქის 15 ქუჩაზე დაიგება. ქალაქის ცენტრალურ ნაწილში ასევე შეკეთდება არსებული ასფალტირებული გზებიც, ხოლო მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების (ნოსირი, ზანა, ხორში, მენჯი, ეკი, თეკლათი) უბნებში ასფალტობეტონის საფარი მოეწყობა.

სამუშაოების მიმდინარეობას ადგილზე გაეცნო სენაკის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა დგებუაძე შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებთან ერთად.

2013-2016 წლებში მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეაბილიტირებულია 98,8 კმ. გზა (ქალაქის 86 ქუჩა და 82 კმ გზა სოფლად). განხორციელებული სამუშაოების შედეგად მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა საგზაო ინფრასტრუქტურა.

ბორჯომი — სოფელ ტაძრისს ამბულატორია ექნება

ამბულატორია სოფლის ექიმის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში იმუშავებს, სადაც, უფასო ამბულატორიული მომსახურების გარდა, ხორციელდება მნიშვნელოვანი პროფილაქტიკური პროგრამები — იმუნიზაციის პროგრამა და ინფექციური დაავადებების მონიტორინგი. ამბულატორია სამი სოფლის — ტაძრისის, დგვარისა და საკირეს მოსახლეობას მიმდინარე წლის ივნისიდან მოემსახურება.

გასულ წლებში სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა სოფლების ჭობისხევისა და დვირის ამბულატორიებსაც.

რუსთავში ინფრასტრუქტურული სამუშაოები მიმდინარეობს

რუსთავში, თოდრიას ქუჩაზე გზის საფარისა და ტროტუარების რეაბილიტაცია მიმდინარეობს. ტერიტორიაზე მოეწყობა ბორდიურები, სანიაღვრე ქსელი, გაზონები და სარწყავი სისტემა, გზის სავალ ნაწილზე დაიგება ასფალტის ახალი საფარი.

56 შიდა ეზოს რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში, მე-19 მიკრორაიონის №4, №7, №8, №10, №12, №18 საცხოვრებელი კორპუსების მიმდებარედ სკვერი ეწყობა.

პარალელურად, ჭყონდიდელის დასახლებაში, №41 საბავშვო ბაგა-ბაღის შენობაში სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს.

ცენტრალური მოედნის მიმდებარედ, კოსტავას გამზირზე, გზის სავალი ნაწილის შუა გამყოფ ზოლში, ათი ძირი დეკორატიული მუხის ხე დარგო.

საგზაფხულო სამუშაოების ფარგლებში, ქალაქის პარკებში, ბაღებსა და სკვერებში სხვადასხვა სახეობის ყვავილებიც დაირგო.

ბოლნისი — სოფელ ტანძიაში ყველაზე რთულად მისასვლელ უბანში გზა მოწესრიგდა

სოფელ ტანძიის ამ ქუჩაზე მანქანით გადაადგილება ფაქტობრივად შეუძლებელი იყო. მას შემდეგ, რაც ყველაზე რთულად მისასვლელი უბნის გზაზე შესაბამისი მასალა დაიყარა, გზა მოსწორდა და დაიტკეპნა, მოსახლეობას მნიშვნელოვანი პრობლემა მოუგვარდა.

სოფელ ტანძიაში, რელიეფიდან გამომდინარე, შიდა გზებზე პრობლემები ხშრად იქმნება, განსაკუთრებით გზები ზიანდება ძლიერი წვიმების დროს.

თეთრიწყარო — შეხვედრა დაბა მანგლისის მოსახლეობასთან

დაბა მანგლისში თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი ერეკლე კუხიანიძე და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ავთანდილ მუხაშავრია, თვითმმართველობის, ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის და საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის წარმომადგენლებთან ერთად, ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდნენ და მანგლისის ცენტრალური პარკის დაგეგმილი რეაბილიტაციისა და კეთილმოწყობის სამუშაოები განიხილეს. პროექტი განხორციელება 2017 წელს გერმანიის განვითარებისა და რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის (KFW) ფინანსური მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის — „კავკასიაში დაცული ტერიტორიების ხელშეწყობის პროგრამა — საქართველოს“ ფარგლებში.

შეხვდრაზე განიხილეს პროექტის პირველადი კონცეფცია, თუ რა მიმართულებით შეიძლება განვითარდეს პარკი, რათა შეიძინოს ახალი სიცოცხლე და გახდეს უფრო მრავალფუნქციური და მიმზიდველი ყველა ასაკის დამსვენებლისა თუ ადგილობრივი მოსახლეობისთვის. პარკის რეაბილიტაციის პროცესში მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული მოსახლეობის მოსაზრებები.

სკრინინგ-ტესტირება დმანისის მუნიციპალიტეტში

დმანისის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას C ჰეპატიტის უფასო სკრინინგ-ტესტირება ჩაუტარდა. დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ამამლოს ამბულატორიაში განთავსებულ მობილურ ლაბორატორიაში ნებისმიერ მოქალაქეს ჰქონდა საშუალება, ჩაეტარებინა C ჰეპატიტის უფასო სკრინინგი. აღნიშნული აქტივობა განხორციელდა C'ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის ფარგლებში დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ, დმანისის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურისა და ადგილობრივი საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ხელშეწყობით.

დმანისი

ევროკავშირი გორის მუნიციპალიტეტში პირველ მასშტაბურ პროექტს დააფინანსებს

პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გამოცხადებულ პროგრამაში „პოლონეთის დახმარება საქართველოს 2017“ გორის მუნიციპალიტეტის გამგეობა ერთადერთია იმ თვითმმართველობებს შორის, რომელმაც ყველა საკონკურსო პირობა დააკმაყოფილა და სოფელ ტინისხიდში შშმ პირებისთვის სარეაბილიტაციო ცენტრის გახსნაზე ფინანსური მხარდაჭერა მიიღო. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია შენობის გარემონტება და შესაბამისი ინვენტარიზაცია. სამკურნალო-სარეაბილიტაციო ცენტრი არა მხოლოდ გორის, არამედ რეგიონის სხვა მუნიციპალიტეტების ბენეფიციარებსაც მოემსახურება. პირველ ეტაპზე სარეაბილიტაციო ცენტრის გარემონტებისთვის 467 604 ზლოტია (300 ათას ლარზე მეტი) გამოყოფილი. ცენტრის გახსნა მიმდინარე წლის ნოემბერშია დაგეგმილი.

შუახევი — შეხვედრა მაღალმთიანი აჭარის პედაგოგებთან

განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ალექსანდრე ჯეჯელავა აჭარის განათლების მინისტრთან ერთად მაღალმთიანი აჭარის მუნიციპალიტეტების 300-ამდე პედაგოგს შეხვდა.

„მადლობა იმისთვის, რომ მიუხედავად ყველაფრისა განათლების სისტემა შეინარჩუნეთ და ღირსეული თაობები აღზარდეთ“, — ალექსანდრე ჯეჯელავამ ამ სიტყვებით მიმართა აუდიტორიას და პედაგოგებს განათლების განვითარების თავისი თვალთახედვა და სამინისტროს სამომავლო გეგმები გააცნო, ესაუბრა სწავლების ხარისხის გაუმჯობესებასა და განათლების სისტემაში დღეს არსებულ მდგომარეობაზე, განიხილა ამჟამად არსებული მოდელის დადებითი და უარყოფითი მხარეები.

შეხვედრას, რომელიც კითხვა-პასუხის რეჟიმში მიმდინარეობდა, მუნიციპალიტეტის გამგებელი ტარიელ ებრალიძე ხელმძღვანელ პირებთან ერთად ესწრებოდა.

სამზარეულო – რისკის ზონა

რამაზ გახოკიძე – თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საერთაშორისო საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი. მინიჭებული აქვს სხვადასხვა მაღალი პრემიები. საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, საერთაშორისო ბიოგრაფიული ცენტრის მიერ შეყვანილია „XX საუკუნის გამოჩენილ ადამიანთა“ სიაში. არის ამერიკის ღირსების ორდენის და საქართველოს ღირსების ორდენის ორგზის კავალერი.

ბატონი რამაზი „საერთო გაზეთს“ ამჯერად, სამზარეულოდან მომდინარე საფრთხეებზე ესაუბრა:

სამზარეულოში ჩადებული ნაღმები

— ბატონო რამაზ, წინა ინტერვიუებში ჩვენ საკვები პროდუქტებით გამოწვეულ საფრთხეებზე ვისაუბრეთ. როგორც მაშინ აღნიშნეთ: ადამიანი ყოველწლიურად საკვებთან ერთად სამ კილოგრამ სხვადასხვა ქიმიურ ნივთიერებას იღებს. თუმცა, როგორც ირკვევა საფრთხე მხოლოდ საკვებიდან როდი მომდინარეობს. საკვები პროდუტების გარდა კიდევ რამ შეიძლება დააზიანოს ჩვენი ჯანმრთელობა?

— მოგახსენებთ. კაცობრიობისთვის ტექნიკურ პროგრესს სულ უფრო და უფრო ახალი მიღწევები მოაქვს, რაც ერთი შეხედვით, თითქოს, კეთილი მიზნებით ხდება ანუ, ჩვენს ცხოვრებას აიოლებს და უფრო კომფორტულს ხდის. ადამიანი ცხოვრების საკმაოდ დიდ ნაწილს სამზარეულოში ატარებს, რომელიც სინამდვილეში, სახლში, ყველაზე საშიში ადგილია. საკმაოდ ბევრი ადამიანი იწამლება არა საკვებით, არამედ ჭურჭელით და სამზარეულოს ნივთებით, რომელთა უმრავლესობა ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო სულაც არ არის. თუ თქვენ სახლში ტეფლონის ტაფა გაქვთ, ჩათვალეთ, რომ სახლში მკვლელი ჭურჭელი „გყავთ“.

ტეფლონისგან დამზადებულმა ჭურჭელმა კვების ობიექტებსა თუ საოჯახო სამზარეულო ატრიბუტიკის არსენალში, დიდი ადგილი დაიკავა. ტეფლონის ქვაბები და ტაფები საქართველოშიც ძალზედ პოპულარულია, თუმცა ტეფლონი მაღალ ტემპერატურაზე გაცხელებით ტოქსიკურ ნივთიერებებს, მაგალითად, პერფტოროქტანმჟავას გამოყოფს, რომელიც იწვევს სუნთქვის და რეპროდუქციული სისტემების დაზიანებას, დიაბეტს, თანდაყოლილ სიმახინჯეებს, კიბოს, უშვილობას, ფარისებრი ჯირკვლის დაავადებებს, სისხლში ზრდის ქოლესტერინის საერთო დონეს, იწვევს გასუქებას, არღვევს იმუნიტეტს. მისი უმცირესი რაოდენობის ჩასუნთქვაც კი იწვევს ჩიტების სიკვდილს რამდენიმე წუთში. იგი შედის ადამიანისათვის ყველაზე საშიშ 28 ქიმიურ ნივთიერებათა სიაში. ტეფლონის მავნე გავლენისაგან თავის დაღწევა შეუძლებელია, რადგან ჰაერში გამოიყოფა აქროლადი წვრილი ნაწილაკები და ტოქსინები, განსაკუთრებით, თუ მისი საფარი დაზიანებულია. ტეფლონის ტაფაზე ერბო-კვერცხი შეწვისას 5 წუთით რომ დატოვოთ, ნახავთ, რომ იგი ნაცრისფერ-ცისფრად შეიფერება. ტოქსინების გამოყოფის პროცესი ასევე, ჩქარდება გამრეცხ საშუალებათა ზემოქმედებით. აღსანიშნავია, რომ ტეფლონისაგან გამოყოფილი ტოქსინები გროვდება პურში, წყალში, ნიადაგში. ნაპოვნია ჩიტების, თევზების, ზოგიერთი ძუძუმწოვრის სისხლში. ვირთხები რომელთაც საკვებში პერფტოროქტანმჟავას უმატებდნენ, ჯერ საწინააღმდეგო სქესისადმი ინტერესს კარგავდნენ, შემდეგ ავთვისებიანი სიმსივნეები უვითარდებოდათ და მალე კვდებოდნენ. აქვე გეტყვით, რომ ტეფლონის მწარმოებელ კონცერნ „დიუპონის“ წინააღმდეგ რვა ამერიკულ შტატში დიასახლისებმა სარჩელი შეიტანეს და მისი ხუთი მილიარდი დოლარით დაჯარიმება მოითხოვეს. მას ბრალი დასდეს კანცეროგენური თვისებების შესახებ ინფორმაციის დამალვაში. ტეფლონის კომპანიის თანამშრომელთა და წარმოების ახლოს მცხოვრებთა შორის იზრდება ლეიკემიით დაავადებულთა რიცხვი. ქალებში ირღვევა რეპროდუქციული ფუნქციები, ბავშვები სახის სიმახინჯეებით იბადებიან, მამაკაცებში პროსტატის კიბოს დაავადებები იზრდება. ამერიკის გარემოს დაცვის ფედერალურმა სააგენტომ კატეგორიულად აკრძალა ტეფლონით დაფარული ტაფების გამოშვება და გამოყენება.

— ტეფლონის ტაფები საკმაოდ დიდი პოპულარობით სარგებლობს. მოსახლეობას ამ საფრთხეებზე წარმოდგენაც არ აქვს. როგორ დავიცვათ თავი ტეფლონის ჭურჭლის მავნე ზეგავლენისგან?

— ტეფლონის ტაფაზე აუცილებელია ხის კოვზის ხმარება და არავითარ შემთხვევაში ჩანგლის ან დანის, რომელთაც შეუძლიათ ტეფლონის ზედაპირის დაზიანება. არ შეიძინოთ სწრაფი მოხმარების საკვები, რომელიც შეფუთულია ტეფლონიან ქაღალდში ან ჭურჭელში (რომელიც განკუთვნილია პიცის, პოპკორნისთვის და ა.შ.) არ გამოიყენოთ კოსმეტიკური საშუალებები (სახის და სხეულის ლოსიონები, პუდრი, ფრჩხილების ლაქი, საპარსი კრემი), რომელთა შემადგენლობაში შედის ნივთიერება სახელწოდებით „ფლუორი“, „პერფლუორო“ ან „პე-ტე-ეფ-ი“. გარდა ამისა, ასევე, უსაფრთხო არ არის ალუმინის ჭურჭელიც. საშიშია ფოლადის ტაფაც ფსკერზე შავი ნამწვის წარმოქმნის გამო, რომელიც შესაძლოა კანცეროგენი აღმოჩნდეს. დიასახლისების გარკვეული ნაწილი გამოსავალს უჟანგავი ფოლადის, თუჯის ჭურჭლის გამოყენებაში პოულობს, მაგრამ მსგავსი ჭურჭელი ვერ დაიკვეხნის მიწვის საწინააღმდეგო თვისებებით. ამიტომ, ყველაზე უპრიანია კერამიკული ჭურჭელის მოხმარება, რომელიც ეკოლოგიურად სუფთაა და თიხის, სილისა და ქვისაგან შედგება. ეს ნივთიერებები, აბსოლუტურად, უვნებელია ადამიანის ჯანმრთელობისთვის და არც გარემოზე მოქმედებს უარყოფითად.

მიკროტალღური ღუმელი – საბრძოლო იარაღი სამზარეულოში

— გერმანელმა მეცნიერებმა ნაცისტების დაკვეთით იმ მიზნით რომ საჭმლის მომზადებაზე დრო არ დაეკარგათ და ცივ ზამთარში ცხელი კერძები აქეთ-იქით არ ეტარებინათ, მიკროტალღური ღუმელი გამოიგონეს. ექსპლუატაციის პროცესში გაირკვა, რომ მასში მომზადებული საკვები უარყოფითად მოქმედებდა ჯარისკაცების ჯანმრთელობაზე და მის გამოყენებაზე უარი თქვეს. 1942-43 წლებში ეს გამოკვლევები ამერიკელების ხელში მოხვდა. მათ ეს გაასაიდუმლოეს. ამავე დროს, რამდენიმე მიკროტალღური ღუმელი რუსების ხელშიც მოხვდა. შედეგად, საბჭოთა მეცნიერებმა დახურულ კვლევით ინსტიტუტებში საგულდაგულოდ შეისწავლეს ბიოლოგიური ეფექტი. თანამედროვე ტექნიკაში მიკროტალღებს იყენებენ სატელეფონო კავშირებში, სატელევიზიო პროგრამების გადაცემაში, ინტერნეტის მუშაობაში. სხვათა შორის, მობილური ტელეფონი იმავე სიხშირეზე მუშაობს, როგორზეც მიკროტალღური ღუმელი. საბჭოთა კავშირში მიკროტალღური ღუმელები 1976 წელს ჯანმრთელობაზე მავნე ზემოქმედების გამო აკრძალეს. აკრძალვა 90-იანი წლების დასაწყისში „პერესტროიკის“ შემდეგ მოიხსნა. როცა მიკროტალღური ღუმელის მავნებლობაზე ვსაუბრობთ, რაც ასევე თითქმის ყველა ოჯახშია, უნდა აღინიშნოს, რომ ასეთ ღუმელში გაცხელებულ რძეში, ხორცსა და მარცვლოვან კულტურებში კანცეროგენური ნივთიერებები წარმოიქმნება, რომლებიც კუჭ-ნაწლავის ავთვისებიან სიმსივნეს იწვევს. ასევე, საზიანოა ჯანმრთელობისთვის ღუმლის ახლოს წარმოშობილი მიკროტალღური ველი. გარდა ამისა, მიკროტალღებით გაცხელება 97%-ით აფუჭებს საკვების ხარისხს.

— ბატონო რამაზ, საოჯახო პირობების გარდა, ასეთი მიკროტალღური ღუმელები აქვს თითქმის ყველა საცხობს, სადაც მყიდველს გაციებული პროდუტის გაცხელებას სთავაზობენ. ასეთი საკვებით ბავშვებიც სარგებლობენ. რამდენად საზიანოა ეს მათთვის?

— მიკროტალღური გამოსხივება „აყუმბარებს“ საკვების მოლეკულებს, პორალურ მოლეკულებს აიძულებს წამში მილიონჯერ იბრუნოს, რაც მოლეკულურ ხახუნს იწვევს და საჭმელს აცხელებს. ეს ხახუნი მნიშვნელოვან ზიანს აყენებს საჭმლის მოლეკულებს, ახდენს მათ დაშლას ან სტრუქტურულ დეფორმაციას. რაც შეეხება კითხვის მეორე ნაწილს, მიკროტალღური ღუმელი ძალიან საშიშია ბავშვებისთვის. ზოგიერთი ამინმჟავა, მაგალითად, ლ-პროლინი, რომელიც დედის რძეში და ბავშვთა სხვა საკვებში შედის, დ-იზომერად გარდაიქმნება, რომელიც ნეიროტოქსიკურია, იწვევს ნერვული სისტემის დეფორმაციას და თირკმელებისთვის შხამს წარმოადგენს. სამწუხაროდ, დედათა უმეტესი ნაწილი შვილს ხელოვნურ რძეზე ზრდის, რაც კიდევ უფრო ტოქსიკური ხდება მიკროტალღური ღუმელის საშუალებით. მასში დამუშავებული ყველა პროდუქტი ადამიანის ორგანიზმში ცვლილებებს იწვევს. ესპერიმენტში მოხალისეთა სისხლში ჰემოგლობინის დონე ეცემოდა, ხოლო ქოლესტერინისა — იზრდებოდა. მიკროტალღურ ღუმელში მომზადებული საკვების ხშირი მოხმარება შეუქცევადად აზიანებს ტვინს, აფერხებს ან ცვლის მამაკაცის და ქალის სასქესო ჰორმონების გამომუშავებას. მიკროტალღურ ღუმელში საკვების გაცხელებით წარმოიქმნება თავისუფალი რადიკალები, რაც კუჭ-ნაწლავის ავთვისებიან სიმსივნეს იწვევს. სწორედ ამით აიხსნება ამერიკაში კიბოს დაავადების სწრაფი ზრდა. ასეთი საკვების ხანგრძლივი მიღება იწვევს სისხლის კიბოს, იმუნიტეტის დაქვეითებას, მეხსიერების და ყურადღების კონცენტრაციის გაუარესებას, ინტელექტის დაქვეითებას. ადამიანი რომელიც ასეთ პროდუქტს იყენებს, მალე ბერდება.

— ბატონო რამაზ, თქვენ მიკროტალღური ღუმელი საბრძოლო იარაღს შეადარეთ. რას გულისხმობდით?

— იუგოსლავიაში ომის დროს რუს მეცნიერთა რეკომენდაციით საყოფაცხოვრებო მიკროტალღურ ღუმელს იარაღად იყენებდნენ. საჰაერო განგაშის დროს მოქალაქეებს აივანზე მიკროტალღური ღუმელი გამოჰქონდათ, ხსნიდნენ მაბლოკირებელ კლემას და მიკროტალღებს რაკეტისკენ მიმართავდნენ. მიკროტალღური ღუმელის „გასროლის“ მანძილია 1,5 კილომეტრი. ასობით იუგოსლავიელი თავისი მიკროტალღური ღუმელის გენერატორის სხივს მტრის რაკეტისკენ უშვებდა, რაც რაკეტის ელექტრონიკაში დარღვევებს იწვევდა და ისიც ვარდებოდა. აქვე მოგახსენებთ, რომ მიკროტალღები უარყოფითად მოქმედებს მცენარეთა ზრდაზეც. თავად შეგიძლიათ ჩაატაროთ ცდა და ამაში დარწმუნდებით: ცალ-ცალკე აადუღეთ წყალი ქურაზე და მიკროტალღურ ღუმელში, შემდეგ გააცივეთ. ამ წყლებით მორწყეთ ორი ერთნაირი ყვავილი. რამდენიმე დღეში მიკროტალღურ ღუმელში ნამყოფი წყლით მორწყული მცენარე დაითრგუნება და ბოლოს გახმება. არსებობს მრავალი მტკიცება იმის შესახებ, რომ მიკროტალღურ ღუმელთან ახლოს ყოფნაც კი საზიანოა და იწვევს ონკოლოგიურ დაავადებებს, განსაკუთრებით, სისხლის კიბოს. უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე მიკროტალღურ ღუმელში დაყენებულია საკმაოდ ეფექტური სისტემა მსგავსი გამოსხივებისგან დასაცავად. კარის გარშემო შესაძლო ხვრელების გამო შესაძლებელია მცირეოდენი გამოსხივება. ამიტომ, ღუმელის ჩართვისას კართან დგომა სასურველი არ არის, განსაკუთრებით, ფეხმძიმე ქალებისა და ბავშვებისათვის.

სამზარეულო — რადიაციის კერა

— ძნელად დასაჯერებელია, მაგრამ სამზარეულო ჩვენს სახლებში ერთ-ერთ ყველაზე რადიაციულად საშიშ ადგილს წარმოადგენს, თავისებურ გაზურ კამერას რადიოაქტიური გაზის — რადონის არსებობის გამო. რადონი უფერო და უსუნო გაზია. ჩვენ რადიაციას კოსმოსური სხივებისგან ვიღებთ, მაგრამ, მისგან განსხვავებით, რადონი არა მარტო იჭრება ჩვენს ბინაში, არამედ იქ გროვდება კიდეც. ჩვენ რადიოაქტიურ რადონს მთელი სიცოცხლის მანძილზე ვსუნთავთ. რადონის შემდგომი დაშლით წარმოიქმნება პოლონიუმის, ბისმუტის და ტყვიის რადიოაქტიური იზოტოპები, რომელთა ორგანიზმინად გამოყვანა ძალიან ძნელია.

რადონი ძლიერი კანცეროგენია. იგი იწვევს ავთვისებიანი სიმსივნეების, პირველ რიგში, ფილტვის კიბოს წარმოქმნას. იმ სახლებში სადაც რადონი მეტია, ბუნებრივია, მეტია დაავადების რისკიც. თუ რამდენი რადონია ჩვენს სახლებში, რა თქმა უნდა, ეს არ ვიცით, მაგრამ სამაგიეროდ, ვიცით რამდენია ამერიკელებისა და შვედების სახლებში! ამ მონაცემებს შეგიძლიათ ამერიკულ ჟურნალებში გაეცნოთ. რადონის შემცველი სახლები აშშ-ში ფასდაკლებით იყიდება. შენობებში რადონის შემცველობა დაახლოებით ათჯერ მეტია, ვიდრე გარეთ. მაღალსართულიან სახლებში მისი შემცველობა 3-4-ჯერ ნაკლებია, რადგან იგი ჰაერზე 7,5-ჯერ მძიმეა. რადონს ბინებში შეღწევა შეუძლია ზოგიერთი სამშენებლო მასალიდან როგორებიცაა გრანიტი, ტუფი, პემზა. ბეტონის რადიოატიურობა, რადონის შემცველობის გამო, ხე-ტყესთან შედარებით, 30-50-ჯერ მეტია.

სამზარეულო — მიკრობების ბუდე

— საუბრის ბოლოს სამზარეულოს კიდევ ერთ ნაღმზე გავამახვილებ თქვენს ყურადღებას. აღმოჩნდა, რომ სამზარეულო მიკრობებით ყველაზე გაბინძურებულ ადგილს წარმოადგენს. ჩვეულებრივ საკეპ დაფაზე, რასაც სამზარეულოში თითქმის ყოველდღიურად მოვიხმართ, საშიშ მიკრობთა რაოდენობა 200-ჯერ მეტი აღმოჩნდა, ვიდრე უნიტაზის საჯდომზე! ბრიუსელის ჰიგიენის ინსტიტუტის თანამშრომლებმა გამოარკვიეს, რომ მიკრობები ყველაზე აქტიურად ხის და ფოროვან ზედაპირზე მრავლდებიან მაშინ, როცა მეტალური ზედაპირი ბევრად უვნებელია. მდუღარე წყლით გარეცხვაც კი არ არის საკმარისი. მაგალითად, ოქროსფერი სტაფილოკოკი 120 გრადუს ტემპერატურას უძლებს. ფოლადის ფირფიტის სარეცხი საშუალებით გარეცხვისა და ცხელი წყლის გადავლებით მიკრობების 85% იხოცება, რომელიც ადამიანის ნაწლავის ფლორაზე უარყოფითად მოქმედებს. დეზინფექციისთვის შეგიძლიათ ზედაპირი ღვინის ძმრის ცხელი ხსნარით (40 მილილიტრი 1 ლიტრ წყალზე) დაამუშავოთ. შემდეგ ოდნავ სველ ფიცარზე მოაყარეთ თანაბარი ფენით სოდა და ღამის განმავლობაში დატოვეთ. ბოლოს დაფა დამდუღრეთ და გააშრეთ. ასეთი დამუშავებით იხოცება ყველა მიკრობის 99,5%. ასევე შეგიძლიათ კვირაში ერთხელ სუფთა დაფა სპირტით გაწმინდოთ. მიკრობები, ასევე, დიდი ოდენობით მრავლდებიან ჭურჭლის სარეცხ ღრუბელზეც. იგი ყოველთვის გასაპნულია, მაგრამ სითბო და მის ზედაპირზე საჭმლის ნარჩენები საუკეთესო პირობებია სტაფილოკოკების, ნაწლავის ჩხირების, სალმონელების და სხვა მიკროორგანიზმების გასამრავლებლად. ამ შემთხვევაში დადებით სამსახურს გაგიწევთ მიკროტალღური ღუმელი. მასში 1-2 წუთით მოათავსეთ სუფთა ღრუბელი სველ მდგომარეობაში (აალების თავიდან ასაცილებლად), გამოიღეთ და გაცივების შემდეგ კვლავ გამოიყენეთ. ამ დროს იხოცება მიკრობთა 99%.

თამარ შველიძე
555 23 28 24
(გაგრძელება იქნება)

„საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი

მთვარისა კევლიშვილი.
ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69

* * *

— არ მყავს ქმარ-შვილი. ჩემი ქონება ანდერძით მსურს დავუტოვო ჩემს ერთ-ერთ ძმისშვილს. ხომ არ შეექმნება პრობლემა მას დანარჩენი ძმისშვილებისაგან?

— თუ თქვენ ანდერძით დაუტოვებთ თქვენს ქონებას ერთ-ერთ ძმისშვილს, მას დანარჩენი ძმისშვილებისაგან არ შეექმნება პრობლემა, რადგან ძმისშვილები არიან მე-2 რიგის მემკვიდრეები და ისინი სავალდებულო წილის უფლებით ვერაფერს მოითხოვენ. სავალდებულო წილის უფლების მოთხოვნით სარგებლობენ მხოლოდ 1-ლი რიგის მემკვიდრეები.

* * *

— რა შემთხვევაში იხილავს სამოქალაქო საქმეებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა?

— საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 3911-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, საქმის საკასაციო წესით განმხილველ სასამართლოს შეუძლია მოტივირებული განჩინებით საქმე განსახილველად გადასცეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდ პალატას, თუ:

ა) საქმე თავისი შინაარსით წარმოადგენს იშვიათ სამართლებრივ პრობლემას;

ბ) საკასაციო პალატა არ იზიარებს სხვა საკასაციო პალატის მიერ ადრე ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შეფასებას(ნორმის განმარტებას);

გ) საკასაციო პალატა არ იზიარებს დიდი პალატის მიერ ადრე ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შეფასებას(ნორმის განმარტებას);

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდ პალატაში საქმე საკასაციო წესით განიხილება ამ კოდექსისა და „ საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად.

* * *

— ჩემი ქალიშვილი განქორწინებულია მეუღლესთან. მათ ჰყავთ ერთი მცირეწლოვანი შვილი. განქორწინების დროს ჩემს ქალიშვილს არ მოუთხოვია ალიმენტის საკითხის განხილვა. შეგვიძლია თუ არა, ახლა მოვითხოვოთ ალიმენტის გადახდა ბავშვის სასარგებლოდ?

— შეგიძლიათ.

ალიმენტის მოთხოვნა ყოველთვის შეიძლება ბავშვის სრულწლოვანების ასაკის მიღწევამდე.

* * *

— რას ნიშნავს დანაშაულის რეციდივი?

— თქვენთვის საინტერესო საკითხს პასუხობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-17 მუხლი, რომლის შინაარსსაც წარმოგიდგენთ სრულად:

მუხლი 17. დანაშაულის რეციდივი

1. დანაშაულის რეციდივი ნიშნავს წინათ განზრახი დანაშაულისათვის ნასამართლევი პირის მიერ განზრახი დანაშაულის ჩადენას.

2. ამოღებულია (22.06. 2007 N 5035)

3. ამოღებულია (22.06. 2007 N 5035)

4. დანაშაულის რეციდივის დადგენისას მხედველობაში არ მიიღება ნასამართლობა თვრამეტ წლამდე ჩადენილი დანაშაულისათვის, აგრეთვე ნასამართლობა, რომელიც მოხსნილი ან გაქარწყლებულია ამ კოდექსის 79ე მუხლით გათვალისწინებული წესით.

5. დანაშაულის რეციდივის შემთხვევაში ამ კოდექსით გათვალისწინებული საფუძვლით და დადგენილ ფარგლებში შეიძლება დაინიშნოს უფრო მკაცრი სასჯელი.

* * *

— რა შემთხვევაში იხილავს სამოქალაქო საქმეებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა?

— საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 3911-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, საქმის საკასაციო წესით განმხილველ სასამართლოს შეუძლია მოტივირებული განჩინებით საქმე განსახილველად გადასცეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდ პალატას, თუ:

ა) საქმე თავისი შინაარსით წარმოადგენს იშვიათ სამართლებრივ პრობლემას;

ბ) საკასაციო პალატა არ იზიარებს სხვა საკასაციო პალატის მიერ ადრე ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შეფასებას(ნორმის განმარტებას);

გ) საკასაციო პალატა არ იზიარებს დიდი პალატის მიერ ადრე ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შეფასებას(ნორმის განმარტებას);

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდ პალატაში საქმე საკასაციო წესით განიხილება ამ კოდექსისა და „ საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად.

მსოფლიო ცივილიზაცია უძველესი კოლხური ცივილიზაციისგან იშვა?

(გაგრძელება, დასაწყისი იხ. „სგ“ N1 2017

იგივე პროცესი განმეორდა VIII-X საუკუნეებში, როდესაც ეგრისის მეფეები აფხაზური დინასტიის წარმომადგენლები იყვნენ — ეგრისის სამეფო იწოდებოდა „აფხაზთა სამეფოდ“, უფრო ზუსტად, „ეგრის-აფხაზთა სამეფოდ“ და მისი იგივე მკვიდრი მოსახლეობა — „აფხაზად“.

სხვათაშორის, ბიზანტიელები ეგრისის სამეფოს ყოველთვის ლაზიკის სამეფოდ მოიხსენიებდნენ, მაშინაც კი, როდესაც მას „აფხაზთა სამეფო“ ერქვა, ხოლო მოსახლეობას — ლაზებად, თუმცა იცოდნენ, რომ ისინი მეგრელები იყვნენ. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ბიზანტიელმა სწავლულმა ბიზანტიურ ენციკლოპედიაში ალბანელები მეგრელებად მოიხსენია და არა — ლაზებად.

ასევე, მიზეზთა გამო რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, სომეხი მეცნიერები ჩვენი ქვეყნის დასავლეთ ნაწილს ყოველთვის ეგრისის სამეფოდ მოიხსენიედნენ და მის მკვიდრებს — მეგრელებად, ეგრისის სამეფოში ლაზების თუ აფხაზების ზეობის ეპოქებშიც. ბუნებრივია, მათ ხომ უკეთ მოეხსენებოდათ, ვინ იყვნენ დასავლეთ საქართველოს მკვიდრი მოსახლეები...

ენობრივი ბარიერიდან გამომდინარე, რაგინდ სახელებით მოიხსენიონ აფხაზეთი, მისი ერთადერთი სწორი დასახელებაა „აფხაზეთი“, რაც მეგრული ტოპონიმია და „აფხა“ მეგრულად „ბეჭს“ ნიშნავს. ტერმინები „აფსნი“ და „აფსუა“ არც ერთ ძველ წყაროში არ მოიხსენიება, რაც გასაკვირი იმიტომ არ არის, რომ ისინი ხელოვნურად დაამკვიდრეს XX საუკუნის 50-იან წლებში, როდესაც მიზანმიმართულმა ანტიქართულმა პროცესმა აგრესიული ხასიათი მიიღო.

აფხაზეთი, როგორც ადგილი, რა თქმა უნდა, იყო, მაგრამ იქ მცხოვრებლებს არც აფხაზები ერქვათ და არც მეგრელები, უფრო, მისიმიანებად, ჰენიოხებად, სანებად, სანიკებად და ა.შ მოიხსენიებდნენ, აფხაზეთის მცხოვრებლებს, ანუ იქ მცხოვრებ მეგრელებს აფხაზები მხოლოდ მას შემდეგ დაერქვათ, რაც აფხაზეთი საერისთავო გახდა. რაც შეეხება თანამედროვე აფხაზეთში მცხოვრები ჩერქეზების, ადიღების, ბალყარების, ყაბარდოელებისა და სხვა ხალხების წარმომადგენლებს — ისინი ბოლო ორი-სამი საუკუნის განმავლობაში არიან ჩამოსახლებულები და აფხაზებში ვერავითარ გავლენას ვერ ახდენს როგორც პროცენტული სიმცირის, ისე „ახალმოსულობის“ გამო. ისინი რომ შორეულ წარსულში ჩამოსულიყვნენ, ერთი, რომ სრულად იქნებოდნენ ასიმილირებული და მეორე — აღარც ემახსოვრებოდათ ვინ იყვნენ მათი წინაპრები. დღეს, ჯერ კიდევ ყველა „აფხაზმა ჩრდილოკავკასიელმა“ კარგად იცის ჩერქეზია, ყაბარდოელი, ბალყარი თუ სხვა...

XVII საუკუნემდე რომ აფხაზეთი სამეგრელოს სამთავროს ეკუთვნოდა და ერთნი იყვნენ, ამის დამადასტურებლად, გარდა ისტორიული წყაროებისა, არსებობს პორტუგალიელი კარტოგრაფის დიეგო ომემის შავიზღვისპირეთის ქვეყნების XVI საუკუნის რუკა, რომელზეც ლათინური ასოებით აწერია „მენგრელია“ და იტალიური რუკა, რომელზეც სოხუმის ნავსადგურს აწერია „პორტო მინგრელო“.

ამავე ეპოქის თურქი მოგზაური ევლია ჩელები (1641 წ) წერს, რომ აფხაზეთში მეგრულად ლაპარაკობენ; ჩაჩის ქვეყნის (დღევანდელი გუდაუთის რაიონი) მცხოვრებნი მეგრულად საუბრობენ; შერვაშიძეების (შარაშია) საოჯახო ენა მეგრულია; ქრისტიანი აფხაზები ქართველები არიან, წარმართი აფხაზები — ჩრდილოეთ კავკასიელები; „ბა“-ბოლოკიდურიანი გვარების (გუნბა, ქეცბა, თარბა და ა.შ) მქონე აფხაზები ქართველები არიანო და ა.შ

აფხაზთა ერისთავმა შარაშიამ (შერვაშიძე) გადაწყვიტა აფხაზეთის საერისთავო სამეგრელოს მთავარ დადიანისგან დამოუკიდებელი გამხდარიყო. ამ მიზნის მისაღწევად თითქმის ნებაყოფლობით შევიდა თურქეთის მფარველობის ქვეშ და დაიწყო ჩრდილო-კავკასიელების ჩამოსახლება აფხაზეთში, რომელთაც სამეგრელოს მთავარის წინააღმდეგ საბრძოლველად იყენებდა. ამ დროიდან გამოჩნდა ჩერქეზულ-ადიღეური მოდგმის ხალხი აფხაზეთში და დაიწყო აფხაზეთის თანდათანობითი გაუცხოება. სხვათაშორის, თურქეთისა და ჩრდილო-კავკასიელების დახმარებით, აფხაზეთის საერისთავო ისე გაძლიერდა, რომ სამეგრელოს წაართვა ტერიტორია ენგურიდან სოხუმამდე. ლევან II დადიანმა შეძლო დაებრუნებინა (1611-57 წ.წ) წართმეული და კელასურთან დამცავი კედელიც ააშენა, მაგრამ XVII საუკუნის ბოლოს აფხაზეთის სამთავრომ ისევ წაართვა. აღსანიშნავია, რომ როდესაც საქართველო რუსეთს შეუერთდა, სწორედ რუსეთმა აღადგინა სამართლიანობა და ისევ დაუბრუნეს სამეგრელოს თავისი ტერიტორია სოხუმიდან ენგურამდე და ასე იყო კომუნისტურ ეპოქამდე.

XX საუკუნის დასაწყისში, საეკლესიო უწყების მიხედვით, აფხაზეთში ასეთი დემოგრაფიული სურათი იყო — დაახლოებით 80 000 მცხოვრებიდან 73 600 მართლმადიდებელი იყო. მათში ერია დაახლოებით 2 000 ბერძენი და 2 000 რუსი; 2 400 გრიგორიანელი სომეხი; 4 000 მუსლიმანი. ამ დროისთვის აფხაზეთის ტერიტორია, ფაქტობრივად, სოხუმიდან გაგრამდე იყო, ვინაიდან, სოჭიტუაფსეს რეგიონი რეალურად უკვე რუსეთის საზღვრებში მოიაზრებოდა.

ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ, ყველაფერზე ის გვარები საუბრობენ, რომლებიც დღემდე აქვთ არა მხოლოდ აფხაზეთში...

რა საერთო აქვთ ბასკებსა და ქართველებს, ცალკე საკითხია, ფაქტი ის არის, რომ V საუკუნიდან ბასკური ენა, ფაქტობრივად, აღარ არის, მაგრამ ბასკებს დღემდე ბასკური შინაარსის გვარები აქვთ, რომლებიც იგივე მეგრული გვარებია: დანელია, ლატარია, დუდუჩავა, ტყებუჩავა, დუნდუა, ლოლუა, ნოდია, ასკურავა, ეჩიბერია, მელია, სულოგავა, აჩობია, მარია და ა.შ თუმცა დღეს მათ წარმოდგენა არ აქვთ თავიანთი გვარის შინაარსზე. ბასკები ბასკური ენის გაქრობის შემდეგ ხომ არ აიღებდნენ ბასკურ გვარებს?

იგივე მდგომარეობაა ხეთურ გვარებთან (არა მხოლოდ) დაკავშირებითაც: შარია, გახარია, ოდიშარია, პაჭკორია, თოფურია, ფაცაცია, ფილია, გვალია, ფიფია, ხუცი, შუხურია, მასხულავა, თაქაშთურია, ასიავა, არცავა, გამახარია და ა. შ

ლაზური თქმულებები სიყვარულით მოგვითხრობენ VI-VII საუკუნეების მოღვაწეებზე, სამშობლოს თავისუფლებისთვის მებრძოლ გმირებზე. მათ შორის ასახელებენ პეტრე ხეციას და ივანე კახაბერს (ბრ. „ლაზები“, ი. სიხარულიძე 1999 წ)

„ხეცია“ მეგრული თავადური გვარია, რომლის ძირი სენაკშია, მაგრამ Dდღეს ამ ფორმით აღარ არის შემორჩენილი, „მხეიძედ“ არის გავრცელებული სამეგრელოსა და იმერეთში, თუმცა, სამეგრელოში „მხეიძეს“ დღესაც „ხეციად“ იცნობენ.

„კახაბერი“ ასევე, გვარია — კახას შვილი და უმნიშვნელო რაოდენობითაა შემორჩენილი, დაახლოებით 150 ადამიანი კახეთში, გურჯაანის რაიონში. გაცილებით მეტია ამ გვარიდან ნაწარმოები გვარები „კახაბერისძე“, „კახაბერიძე“, „კახაბრისშვილი“.

VII საუკუნიდან მარგვეთის საერისთავოს მფლობელებად უკვე მეგრელი დიდებულები, ბაღვაშები ჩანან. „ბაღვაში“ ლაზური გვარია. აღსანიშნავია, რომ ბაღვაშებს იბერიის (ქართლის) სამეფოშიც ეკუთვნოდათ კლდეკარის საერისთავო, ორბეთი, სკვირეთი და ატენი.

X—XI საუკუნეებში ცნობილი დიდი ერისკაცი, ქართვლის ერისთავი იოანე მარუში, წყაროებში „მარუშისძედ“ მოიხსენიება. „მარუში“ წმინდა მეგრულ-ლაზური გვარია, მაგრამ იმ ეპოქაში რადგან ქართლში მუდმივი გვარები არ იყო და გვარი მეორე სახელად მიაჩნდათ, რაც ძირითადად მამის სახელი იყო (როგორც სხვა ქვეყნებში იყო მიღებული), ყველა მეგრულ გვარს ბოლოში „ძე-ს“ უმატებდნენ: შარაშია — შარაშისძე, სანაია — სანაძე (სანი ჭანი), ჭანია — ჭანიძე, ხუჯია („მტრედი“ — მხარი) — ხუჯაძე და ა.შ

ანტიკური ხანის კოლხეთი ბერძნული ფყაროების მიხედვით დაბეჭდილია ლონდონში 1770 ფელს

დავუბრუნდეთ მოსაზრებას, საიდანაც დავიწყეთ, რომ მეგრული გვარების დაბოლოება „ია“ მშობლიური ქალაქის, ანუ პოლისის სახელწოდება უნდა იყოს. მეცნიერთა ერთი ჯგუფის ვარაუდით, სხვა მეგრული გვარების დაბოლოებებთან ერთად, თითქოს სვანური გვარების, კერძოდ, „იან“, „ვან“ და „უან“ დაბოლოებების შეკვეცილი ფორმები იყო მეგრულ გვარებში, მაგრამ ბასკეთში მრავლად არსებულმა მეგრული გვარების იდენტურმა გვარებმა ეს მოსაზრება საფუძველგამოცლილი დატოვა.

„უა“ დაბოლოება, შესაძლოა, გამოხატავდნენ ქმედებას. მაგალითად: ჭკადუა — ჭედვა, ჭაჭუა — აკინძვა, ძიგუა — ამორტყმა, სიგუა — ბევრის ჭამა, ჩაჩუა — დაბერტყვა, გულუა — შემოვლება, გოგუა — დაბეჟვა, გაგუა — წაკვეთა, ხუჭუა — თავის მოკვლა, ლოლუა — შებოლვა, ჩიჩუა — ჰეპლაობა და ა.შ ზოგადად, „უა-ზე“ დაბოლოებული სიტყვებიც მოქმედებას გამოხატავს. მაგალითად, ჭარუა — წერა, ბორკუა — ბორკილის დადება, შოლუა — დასველება, ბონუა — დაბანვა და ა.შ

„ყვა“ დაბოლოებით გვარებზე ზოგი მეცნიერი ვარაუდობს, რომ თითქოს გურიაში მოხვედრილა რამდენიმე ჩერქეზული ოჯახი, რამაც განაპირობა აღნიშნული დაბოლოების ტოპონიმებისა და გვარების, მაგალითად: ართილაყვა, ჭანუყვა, ინგოროყვა, ღელეყვა, როყვა და ა. შ გურიის სინამდვილეში წარმოჩენა. რა ვუყოთ იმას, რომ ჩერქეზულ ენაში „ო“ და „ვ“ ბგერები არ არის, ხოლო, მაგალითად, „ართილაყვაში“ ძირი „ართი“ მეგრულად „ერთია“; „ჭანუყვაში“ — „ჭანი“ ერთ-ერთი მეგრული ჯგუფია; „ონგოროყვაში“ — „ინგორს“ — იცოხნის და ა.შ?

თვით „ყვა“, დღეს უკვე ძნელი დასადგენია, თავდაპირველად მეგრულად ყბა იყო თუ შუბლი, ანუ ვთქვათ, შეიძლება ართილაყვა „ერთყბიანს“ ნიშნავდეს ან „ერთშუბლიანს“; ჭანუყვა — „ჭანის ყბას“ ან „ჭანის შუბლს“...

რაც შეეხება მეგრული გვარების სხვა დაბოლოებებს, მათი არსი მეტნაკლებად ცნობილია.

„ში“ კუთვნილების გამომხატველი დაბოლოებაა, რაც ასევე, მიგვანიშნებს ვისი შვილია ესა თუ ის პიროვნება. ბაღვაში — ბაღვას შვილი, ტუღუში — ტუღუს შვილი, ბაღაფში — ბაღას შვილი, ცარგუში — ცარგუს შვილი და ა.შ

გარდა ამისა, „ში“ დაბოლოების მქონე ზოგ ლაზურ გვარს სამეგრელოსა და აფხაზეთში დაემატა ბგერა „ა“ და „კაში“ გახდა კაშია, „ჯანაში“ — ჯანაშია, „აბაში“ — აბაშია, „მორგოში“ — მორგოშია, „გოთოში“ — გოთოშია, „ჯგვეში“ — ჯგვეშია, „სამუში“ — სამუშია და ა.შ

ასევე, ეგრისის სამეფოში იმერეთის, გურიის, რაჭისა და აჭარის წარმოჩენის შემდეგ (XIV-XVს.ს), „ში-ზე“ დაბოლოებულ გვარებს, მცირე გამონაკლისის გარდა, ბოლოში ყველას დაემატა „ძე“. ვთქვათ: „გეგეში“ გახდა გეგეშიძე, „გურეში“ — გურეშიძე, „ნაკაში“ — ნაკაშიძე და ა.შ ამ რეგიონის ყველა გვარი, რომელშიც დაბოლოება „ძე-ს“ წინ ზის „ში“ მეგრული (კოლხური) გვარიდანაა ნაწარმოები.

აღსანიშნავია, რომ ეს იყო (არის) გვარის არასწორი ფორმით გადმოცემა, რადგან დაბოლოება „ში“ ისედაც ასრულებდა სწორედ იმ ფუნქციას, რომ ეთქვა, „ეს ვიღაც“ „იმ ვიღაცის“ შვილია...

„ბერი“ ძველ მეგრულში ნიშნავდა შვილს, უფრო — ვაჟიშვილს; „თუთაბერი“ ნიშნავს „თუთას“ — მთავარს, მთავარ ვაჟს. კაკუბერი — კაკუს ვაჟი; ღოღობერი — ღოღოს ვაჟი; კობერი — კოს ვაჟი და ა.შ

„ბერი-ზე“ დამთავრებულ გვარებს სამეგრელო-გურიაში დაბოლოებაზე დაემატა „ა“ ბგერა და ვთქვათ, გიგიბერი გახდა გიგიბერია, ქუჩუბერი — ქუჩუბერია, სულაბერი — სულაბერია, ჩაკაბერი — ჩაკაბერია და ა.შ.

იმერეთ-გურია-რაჭა-აჭარაში „ბერი-ზე“ დამთავრებულ გვარებს ბოლოში დაემატათ „ძე“ და ვთქვათ, ღოღობერი გახდა ღოღობერიძე, გიგიბერი — გიგიბერიძე, კობერი — კობერიძე და ა.შ არადა, „ბერი-ზე“ დამთავრებულ გვარებზე კიდევ „ძე-ს“ დამატება აბსურდული ფორმაა, ვინაიდან „ბერი“ ისედაც ნიშნავს ძეს და რას ვიღებთ, ვთქვათ, ღოღოძეძე-ს, ან გოგოძეძე-ს, ლოსაძეძე-ს და ა.შ

(გაგრძელება იქნება)

ჯემალ კვერენჩხილაძე - ლექსები

მენატრები

როგორ მენატრები, შორით ყელს იღერებ,
შენგან გამოგზავნილს ველი გაზაფხულებს,
ველი იმ სიმღერებს, ვნატრობ იმ სიმღერებს:
შენ რომ დაიწყებ და მე რომ დავასრულებ...

როგორ მენატრები, როგორ მენატრები,
თვალი დახუჭე და ფიქრით აყურადე.
ო, ის კოცონები, გულში შენანთები,
გულში დარჩებიან გულის დახურვამდე...

გუშინ ია ვნახე, შენი ცრემლის ტოლი,
რაღაც გამახსენდა, ისე დამენანა,
უცებ ნაელვები, გულში განაჟრჟოლი,
მსურდა, ჩიტის დარად ცაში ამეყვანა.

...როგორ მენატრები, შორით ყელს იღერებ,
შენგან გამოგზავნილს ველი გაზაფხულებს
და თუ ვერ იმღერებ, მაშინ იმ სიმღერებს
შენით დავიწყებ და, შენით დავასრულებ...

ციცინათელები

ივნისის ცას, ჩამოღრუბლულს,
გაცინების დართეს ნება,
ღამე ისე გალამაზდა,
აღარ მინდა გათენება.

აინთება, უცებ ქრება
და კვლავ შუქის გამთელება.
წამში ხდება სიხარულის
გამოციცინათელება.

ეგ ნაკვერცხლის თვალებია,
გაფანტული წერტილებად,
თუ გაბადრულს თქვენით ღამეს,
ნაწყვეტ-ნაწყვეტ ეცინება?!

ასე განათებულ ღამის
ღირდა თავზე დათენება.
ვინ დახია, ნეტავ, ცეცხლი
ამდენ ციცინათელებად?!

წავიდა...

წავიდა ბევრი, ვინაც მიყვარდა
და მოწყენილი საღამო მიმზერს...
ფიქრმა იწვიმა, გულმა იდარდა
ის გაზაფხული, ის დილა, ის მზე...

ვისაც თვალებზე შვენოდა ცრემლი,
და იღერებდა შველივით კისერს,
ვინც ადრე, როგორც ყვავილი ტყემლის,
გაკრთა და ღიმი შეაშრა პირზე.

მე ყველა მიყვარს, მე ყველა მახსოვს,
მე ყველა მტანჯავს, მე ყველა მიტევს.
მე ყოველი დღე მისინჯავს მაჯას
და... თითებს ხმელი ფიჩხივით მიმტვრევს.

წავიდა ბევრი. დრო სწრაფად მიჰქრის,
და ვინაც დამრჩა შორსა თუ ახლოს,
იმათზე დარდი, იმათზე ფიქრი
მანთებს და მაქრობს, მანთებს და მაქრობს...

...მივდივარ მძიმედ, საშველი არ ჩანს,
გავედი თითქმის ბოლოში სოფლის.
წავიდა გულიც და ის, რაც დამრჩა,
მხოლოდ და მხოლოდ ცრემლისთვის მყოფნის...

მშობლების საფლავთან

...ცრემლი თქვა თვალმა, სახემ — სიშავე,
ფიქრი ჩაგეკრა მიწავ, ფხვიერო,
ნეტავ, ისეთი რა დაგიშავეთ,
ასე რომ მიხდით სამაგიეროს...

შემომაფეთა ყვავილმა ფერი,
მის თვალში ნამი ცრემლებად ჩალბა.
რა დააშავე? არც არაფერი...
ეს ვისი ხმაა?! დედაა, ალბათ...

ნიავის დარი სურს, ისევ მითხრას,
ყვავილს, გადმოხრილს, მე ჩემკენ ვხედავ,
და ვეღარ ვიჭერ გაფრენილ სიტყვას,
სიტყვას, რომელიც ცრემლივით წვეთავს...

...საცაა, ჩემი გული იშვავებს,
მოგონებების სუსხი ძლიერობს...
ნეტავ, ასეთი რა დაგიშავეთ,
ასე რომ მიხდით სამაგიეროს...

გულის მოსტუმრება

მოგონებების ნისლებში ვცურავ,
შენ ძველებურად ისევ ივარდე...
გახარებული გულის კარს ვხურავ,
გულიდან რომ არ ამომივარდე...

გული უმზეოდ ვერ გაძლებს, ვერა,
რადგანაც ყინვა იყო იქ ადრე,
და, როცა ვიგრძენ მე შენი მზერა,
დავტკბი, გავთბი და გამოვიზამთრე.

შენ ყველაფერი ეს გახსოვს, ვიცი,
ხართ ერთად ტკვილად, თხზავთ საქალაქოს...
და ვისმენ ახლა ორ გულის სიცილს,
ნეტავი, ჩემზე რას ლაპარაკობთ?!

70-ის შემდეგ

...სულ ახლოს არის, არაფერს ამბობს,
რა უნდა მითხრას, ისედაც ვიცი...
მე ველი ახლა იმ მცირე მაღლობს,
ის შეიფარებს ჩემს ცრემლს და სიცილს...

აქვეა, აქვე, სულ ახლოს არის,
მისი სუნთქვაა, თუ ჩემი განცდა...
და... სულში ჩარბის ნაგლეჯი მთვარის,
მცირე სინათლით რომ წარვსდგე ცასთან.

შენ წვიმასავით ნუ გწყდება გული,
მადლობა უთხარ ყინვებს და სიცხეს,
ჯერ არ მთავრდები, მომაპყარ ყური:
ვინ იცის, იქნებ, შენ ახლა იწყებ...

სამშობლოს

ბოლო წუთამდე შენ მეყვარები
და გიერთგულებ, სანამდე გავძლებ...
დღეს წვიმასავით მეც მწყდება გული,
რადგან გულის მეტს ვერაფერს გაძლევ.

მეც სადიდგორო ბრძოლაში მოვალ,
დავდგები შენთან, მხარს შეგაშველებ,
და მეტს თუ არა, და მეტს თუ არა,
ერთ ტყვიას მაინც ხომ შევაჩერებ...

ქარის წისქვილების დღე ჰოლანდიაში

ყოველი წლის 10 მაისს ჰოლანდიაში ქარის წისქვილების დღეს აღნიშნავენ. ისინი ტიტებთან, წყლის არხებთან და ყველთან ერთად ამ ქვეყნის სავიზიტო ბარათს წარმოადგენენ. ამ დღეს ტურისტებისა და ადგილობრივი მცხოვრებლებისთვის იღება შემორჩენილი 1000-დან 600-მდე წისქვილის კარი.

ქარის წისქვილები უფრო ადრე გაჩნდა, ვიდრე ერთი შეხედვით შეიძლება წარმოვიდგინოთ. ზოგიერთი მონაცემის მიხედვით, ქარის წისქვილები სპარსეთში ჯერ კიდევ ხალიფ ომარის დროს გაჩნდა, ესე იგი ქრისტეს დაბადებამდე ექვსასი წლით ადრე. ეს კონსტრუქციები ევროპაში შედარებით გვიან X-XI საუკუნეებში გაჩნდა ოდნავი სახეცვლილებით და ზოგიერთ ქვეყანაში დღემდეა შემონახული. ერთ-ერთი ასეთი ქვეყანა, სადაც ახსოვთ ეს მოწყობილობები და პატივს მიაგებენ მათ, ჰოლანდიაა.

ჰოლანდიური წისქვილები

შემთხვევითი არ არის, რომ ქარის წისქვილების ერთ-ერთ კონსტრუქციას სახელად ჰოლანდიური ეწოდა. მაგრამ ჰოლანდიური ან კარვისებური წისქვილების გაჩენამდე ყველგან გავრცელებული იყო ბოძისებური წისქვილები.

ბოძისებური კონსტრუქციის წისქვილები კვადრატული ფორმის ნაგებობებია, რომელთა სიმაღლე 8-12 მ-ს აღწევს, რომლებზეც ფრთები მაგრდება და მოძრაობაში ქარს მოჰყავს. ქარის მიმართულების „დასაჭერად“ და სისტემის ეფექტური მუშაობის უზრუნველსაყოფად, საჭირო იყო ამ ნაგებობის შემობრუნება სპეციალური მოწყობილობების საშუალებით. გარდა იმისა, რომ ამ მანიპულაციებს დიდი ძალისხმევა სჭირდებოდა, ყოველი შემობრუნების შემდეგ დოლაბების ხელახლა დარეგულირება ხდებოდა საჭირო.

ყველაზე სარგებლიანი კონსტრუქცია ჰოლანდიური, ანუ კარვისებური წისქვილია. ასეთი ქარის წისქვილები 18 მ. სიმაღლის იყო და მათზე შესაძლებელი იყო უფრო გრძელი ფრთების დამაგრება, რაც წისქვილის სიმძლავრეს ზრდიდა. მაგრამ ამ წისქვილების მთავარი პლუსი ის იყო, რომ მთელი წისქვილის შემობრუნება აღარ იყო საჭირო. უძრავი კორპუსის ზედა ნაწილში განლაგებულია ეგრეთ წოდებული ქუდი — მოძრავი კოშკურა, რომელიც ადვილად ბრუნავს და ქარის მიმართულებაზე ეწყობა. თუმცა, ასეთ წისქვილებს დიდი ხარჯი ჰქონდა და მიუხედავად უფრო სრულყოფილი კონსტრუქციისა, თავიანთი ნაკლებად „წინწასული“ კონკურენტების გაძევება ვერ შეძლეს.

არა მხოლოდ პურით

ჩნდება კითხვა, რატომ მაინცდამაინც ჰოლანდიაში გავრცელდა ასე ფართოდ ქარის წისქვილები და რატომ ითამაშეს ასეთი მნიშვნელოვანი როლი. ნუთუ ეს პატარა ქვეყანა, რომელიც ზღვის დონეზე დაბლა მდებარეობს, იმდენ მარცვლეულს აწარმოებდა, რომ ამდენი წისქვილის აგება იყო საჭირო?

არა, უბრალოდ, უნდა გავიხსენოთ, რომ წისქვილი არამარტო ფქვილის მწარმოებელი მცირე საწარმოა. ქარის ენერგიის გამოყენება სხვადასხვა მიზნით შეიძლება და ჰოლანდიაში ეს კარგად იყო ცნობილი. მარცვლეულის დაფქვის გარდა, ქარის წისქვილებს იყენებდნენ ხის სახერხად, ზეთის, წიწიბურის და ქაღალდის წარმოებისთვის.

პირდაპირი დანიშნულების გარდა, წისქვილები ინფორმაციის გადაცემის საშუალებაც იყო: ყველაზე ამაღლებულ ადგილზე განლაგებულები ყველა მხრიდან კარგად ჩანდა და სასიგნალო კოშკურების მაგივრობას სწევდა. მეორე მსოფლიო ომის დროს ჰოლანდიის წინაღმდეგობის მოძრაობის მონაწილეები წისქვილების საშუალებით აცნობებდნენ ინგლისელ პილოტებს გერმანული ნაწილების ადგილმდებარეობის შესახებ. ასევე წისქვილის ფრთების განლაგების საშუალებით შეიძლებოდა მეწისქვილის ოჯახში მომხდარი ახალი ამბების შეტყობა.

ბელა გველესიანი
568 90 81 22

ყველაზე უცნაური სასამართლო სარჩელები

თავისი მმართველობის პერიოდში ჯორჯ ბუშმა აშშ-ის კონგრესისგან მოითხოვა, მიეღოთ ზომები, რათა სასამართლოში აღარ შესულიყო აშკარად სულელური სარჩელები, რომელთა განხილვის გამოც ამერიკის მოსახლეობა იძულებული იყო ყოველწლიურად მილიონობით დოლარი გადაეხადა...

რეკლამის „მსხვერპლი“

ვინმე რიჩარდ ჰარისმა სასამართლოში უჩივლა ლუდსახარშ კომპანიას, რომელიც მის საყვარელ სასმელს ამზადებდა. ჰარისმა განაცხადა, რომ მას გულწრფელად სჯეროდა რეკლამის, რომელშიც საუბარი იყო, რომ ლუდის გამოყენების შემდეგ იგი გახდებოდა ჭკვიანი, ლამაზი, წარმატებული და ქალებსაც ეყვარებოდათ, მაგრამ ყველაფერი სხვაგვარად მოხდა: რაც მეტ ლუდს სვამდა, უფრო ცუდად გრძნობდა თავს, ქალები კი მის მხარეს აღარც კი იყურებოდნენ. მორალური ზარალის ასანაზღაურებლად ჰარისმა 10 ათასი დოლარი მოითხოვა. სასამართლომ ეს სარჩელი არც კი განიხილა.

მაგრამ გაუაზრებელი რეკლამის მსხვერპლი ზოგჯერ გამარჯვებასაც აღწევს. მაგალითად, ვინმე ტომ სტეინს შუშის კომპანიამ უჩივლა. აღმოჩნდა, რომ ფირმამ მას კრედიტით უკვე ერთი წლის წინ ახალი ფანჯრები დაუმზადა თავისი შუშებით, მან კი საფასური არ გადაიხადა. ტომმა პასუხად განაცხადა, რომ ყველაფერი ასეც იყო, ერთი „მაგრამის“ გარდა. ფირმის წარმომადგენელმა მოწმეების თანდასწრებით განაცხადა, რომ ერთი წლის შემდეგ ეს „შუშები თვითონ გადაიხდიან თავის საფასურს!“ ეშმაკი კლიენტი ელოდა, აგენტის დანაპირები როდის შესრულდებოდა.

სასამართლომ სტეინის სიმართლე აღიარა და ფირმა იძულებული გახდა, ჩამოეწერა გაწეული სამუშაო.

დიდი ხმაური მოჰყვა დების: ჯენის, დეილისა და კიმ ბირდების საქმეს. მათი დედა ნატალი კალიფორნიის ერთ-ერთ ჰოსპიტალში მოათავსეს გამოკვლევებისთვის. გოგონებმა გასინჯვის დროს პალატაში ყოფნა ითხოვეს და გულჩვილმა ექიმებმა ამის ნება დართეს. უცბად, ქალი ცუდად გახდა და იგი რეანიმაციაში გადაიყვანეს.

რამდენიმე დღის შემდეგ, წინდახედულმა დებმა ჰოსპიტალს უჩივლეს. მათ განაცხადეს, რომ ექიმებმა მათ აუნაზღაურებელი ფსიქოლოგიური ტრავმა მიაყენეს. სასამართლომ სარჩელი არ განიხილა.

მოხუცი ქალბატონი „მაკდონალდსის“ წინააღმდეგ

ეს ამბავი 1992 წლის თებერვალში დაიწყო, როცა ვინმე სტელა ლიბეკმა, მანამდე უცნობმა ნიუ-მექსიკოში მცხოვრებმა ქალბატონმა ფეხზე ყავა გადაისხა, რომელიც გზისპირა „მაკდონალდსში“ შეიძინა.

შვილიშვილმა საავადმყოფოში წაიყვანა, სადაც რვა დღე გაატარა. გამოსვლისთანავე ქალმა სასაუზმისგან მკურნალობისთვის კომპენსაცია — 20 ათასი დოლარი მოითხოვა. კომპანიამ 800 დოლარი შესთავაზა, რის საპასუხოდ განრისხებულმა სტელამ სასამართლოში იჩივლა.

ორი წლის სასამართლო გარჩევების შემდეგ მსაჯულებმა უნიკალური ვერდიქტი გამოიტანეს: კომპანიას დაეკისრა დაზარალებულის სასარგებლოდ 200 ათასი დოლარის გადახდა, ხოლო ჯარიმის სახით კიდევ ორი მილიონ ცხრაასი ათასი აშშ-ის დოლარი. 1994 წლის დეკემბერში კომპანიამ აპელაცია შეიტანა და ლიბეკის ადვოკატები გარკვეულ ფულად კომპრომისზე წავიდნენ, რომლის რაოდენობა არ გახმიანებულა. მაგრამ პრეცედენტი უკვე არსებობდა და ამერიკელებმა ფულის შოვნის ახალი გზა აღმოაჩინეს.

სასამართლო სარჩელები იმდენად გულუბრყვილო და თავხედური იყო და თანაც იმდენად ბევრი, რომ ამერიკის ინტელექტუალურ წრეებში სიმბოლური „პრემიაც“ დააწესეს, რომელსაც სტელა ლიბეკის სახელი ეწოდა.

აი, ზოგიერთი ღირსეული მაგალითი, რომლებიც ამ „პრემიას“ იმსახურებენ.

კანონი ქურდების მხარესაა

თუმცა წინდახედულ მოსარჩელეებს შორის არიან ისეთებიც, რომლებმაც ერთი შეხედვით უიმედო საქმეც კი მოიგეს. მაგალითად, ვინმე კარლ თრუმენმა 74 ათასი დოლარი მოუგო სასამართლოს გზით მეზობელს, რომლის გაძარცვასაც თავად აპირებდა. მეზობელი საკუთარი მანქანის საჭესთან იჯდა, მაგრამ კარლმა ის ვერ შენიშნა და ბორბლებიდან დეკორატიული ხუფის მოხსნა დააპირა. როცა მანქანა დაიძრა, ქურდის ხელი ბორბლის ქვეშ აღმოჩნდა, რაც სარჩელის საბაბი გახდა.

კიდევ ერთმა ქურდმა, ტერენს დიქსონმა, რომელმაც სახლი გაქურდა, დააპირა გარაჟიდან გამოსვლა, მაგრამ კარი ვერ გააღო. მძარცველი კვლავ სახლში დაბრუნდა, მაგრამ კარი გაჯახუნდა და ვერაფერი გააწყო. გარაჟში ძაღლის საკვები და წყალი აღმოჩნდა. ქურდი ერთი კვირა გარაჟში იმყოფებოდა სახლის პატრონების დაბრუნებამდე. თავისუფლებაზე აღმოჩენილმა ქურდმა სახლის პატრონებს უჩივლა და ცხოვრებისგან დატანჯული ქურდის სასარგებლოდ „კეთილმა“ მსაჯულებმა მოპასუხეს დიდი თანხის გადახდა დააკისრეს.

ვინმე კარა უოლტონმა გადაწყვიტა ფული არ გადაეხადა და კარის მაგივრად ფანჯრიდან მოინდომა იმ ღამის კლუბის დატოვება, სადაც დროს ატარებდა. საკმაოდ ნასვამი ქალბატონი ფანჯრიდან გადავარდა და ორი წინა კბილი მოიტეხა. მსაჯულების უცნაური გადაწყვეტილების გამო, კლუბის მფლობელებს აენაზღაურებინათ კარას დანტისტთან მკურნალობის საფასური, არამედ დაუმატეს „წამახალისებელი“ თანხა — 12 ათასი დოლარი.

ასი ათას დოლარზე ცოტა მეტი იშოვა ფილადელფიის ერთ-ერთ რესტორანში ახალგაზრდა ისტერიკიანმა გოგონამ ემბერ კარსონმა. იგი შეყვარებულს ეჩხუბა და კოქტეილიანი ჭიქა ესროლა სახეში, ცოტა ხნის შემდეგ კი თავადვე დაუცურდა ფეხი მის მიერ დაქცეულ სითხეზე და კუდუსუნის ძვალი მოიტეხა. სასამართლომ რესტორნის მფლობელს ახალგაზრდა ლედის მკურნალობის ხარჯების დაფარვა დააკისრა.

კეტლინ რობერტსონმა სასამართლოს მიმართა მაღაზიის წინააღმდეგ და მას 750 ათასი დოლარი მოუგო. კეტლინი საკუთარ შვილს დაეჯახა, რომელიც თაროსთან იდგა, წაიქცა და ბარძაყის ძვალი მოიტეხა, დამნაშავე კი მაღაზია აღმოჩნდა.

ორიგინალური სარჩელი შეიტანა სასამართლოში 2006 წელს ალენ რეი ჰეკარდმა. მისი განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ იგი ცნობილ კალათბურთელზე მაიკლ ჯორდანზე ბევრად დაბალი და მსუბუქია და მასზე რვა წლით უფროსია, იგი ძალიან ჰგავს მას. ეს მსგავსება „ხშირად აგდებს უხერხულობაში“, ამიტომ იმსახურებს კომპენსაციას 52 მლნ. დოლარის ოდენობით და 364 მლნ. დოლარს „ყოველდღიური ტანჯვისა და მორალური ზარალის გამო“. იგივე თანხა უნდა გადაუხადოს მას ფირმა „ნაიკმაც“, რომლის რეკლამაშიც ჯორდანი გადაიღეს. სულ სარჩელის თანხა შეადგენდა 732 მლნ. დოლარს! ეს სარჩელი არ განიხილეს, რაც საკვირველია, ამერიკელების სხვა აბსურდულს განცხადებებს ხომ სასამართლოებში აკმაყოფილებენ ხოლმე.

ბრძოლა გამოვუცხადოთ ტექნოლოგიებს!

კალიფორნიის შტატის ქალაქ სანტა მონიკას მმართველებმა, რომლებიც ავტომობილების მფლობელებისთვის ყველანაირი პირობების შექმნის მიზნით ავტოსადგომებზე უსადენო wi-fi გაიყვანეს. მიდი მრიცხველთან, ჩადე ბარათი ჭრილში და... ისარგებლე. მაგრამ შორს ნუ წახვალ, რადგან ინტერნეტ-გადამცემი მხოლოდ რამდენიმე მეტრზე მოქმედებს.

იმის მაგივრად, რომ ქალაქის ხელისუფლებისთვის მადლობა ეთქვა, სანტა მონიკას მცხოვრებმა დენიზ ბარტონმა ქალაქს სასამართლოში უჩივლა და განაცხადა, რომ ავტოსადგომებზე უსადენო ინტერნეტქსელი მის ყურებში ხმაურს, კისრის შეშუპებას და კიდევ რამდენიმე დაავადებას იწვევს. საკუთარი ტანჯვა დენიზმა 1,7 მლრდ დოლარად შეაფასა ერთდროული კომპენსაციის სახით და ყოველთვიურად კიდევ 1,7 მლნ დოლარის გადახდა მოითხოვა.

დენიზის ადვოკატი დარწმუნებულია, რომ სასამართლო მათ სასარგებლოდ დასრულდება.

ბელა გველესიანი
568 90 81 22

სახალხო მკურნალი (მცენარეული პანაცეა)

ქალბატონი ირმა სიხარულიძე სამედიცინო დარგის მუშაკია, მაგრამ ავადმყოფებს საუკუნეებით გამოცდილი საგვარეულო წამალ-მალამოთი მკურნალობს. იგი წარმატებით კურნავს: ოსტეოქონდროზს, პოლიართრიტს, მწვავე რადიკულიტს, კისრის, მხრის და მენჯ-ბარძაყის მუხლ-სახსრების ართრიტს; ქვედა კიდურების სისხლძარღვთა შევიწროებას, ე.წ. მარილების დაგროვებას ქუსლისა და ტერფის არეში, დისკოზს, სამწვერა ნერვის ანთებას, შიდა ქალის წნევას.

წამალი მცენარეულია და არანაირი უკუჩვენება არ აქვს.

მიმართეთ და ენდეთ ირმა სიხარულიძეს. მას შეგიძლიათ დაუკავშირდეთ: ქ. თბილისი, ფოთის ქ.№2 (მეტრო წერეთელთან) ტელ: 557 358 900, 34 21 63

საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ სარჩილავა

ISSN 2233-3983

9 772233 398001

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. E-mail: asavaliprint@yahoo.com